საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

შინაარსი

გიორგი გარბაქაძე
საქართველოს საგარეო ვალები 3

დავით ამაღლობელი
სააქციზო გადასახადი საქართველოში 30

დავით ლომიძე
ეკონომიკური მიმოხილვა 36

თბილისი

საქართველოს საგარეო ვალები

გიორგი ბარბაქაძე

საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამა, რომლის რეალიზაცია საქართველოში დაიწყო 1994 წლის ბოლოდან, თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად შეიცავდა საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლემის მოგვარებას.

საქართველოში საგარეო დავალიანების პრობლემის წარმოშობა განპირობებული იყო სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ დანგრეული ეკონომიკის ასაღორძინებლად საჭირო დამატებითი სახსრების მოზიდვით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე არსებული დავალიანებებით.

საქართველოს სსრკ-დან მემკვიდრეობით საგარეო ვალები არ მიუღია, რადგან რუსეთმა მთელი ვალდებულებები თავის დავზე აიღო 80 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით.

თუ არ ჩავთვლით შემდეგში გაფორმებულ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი ძველ დავალიანებებს დასთ-ს ქვეყნებთან, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქართველო შევიდა დამოუკიდებლობის პერიოდში საკმაოდ დაბალი საგარეო ვალდებულებებით. თუმცა 1991-1994 წლებში წარმოების მოცულობის სწრაფი დაცემის, საექსპორტო ბაზის შემცირების, იმპორტულ საქონელზე მოთხოვნილებების ზრდისა (ძირითადად ხორბალზე) და იმპორტულ ენერგომატარებელზე ფასების ზრდის პირობებში 1994 წლის ბოლოსათვის ქვეყნის საგარეო ვალდებულებებმა მიაღწია თითქმის 1,0 მლრდ აშშ დოლარს. ამ პერიოდისათვის საქართველოს ვალდებულებები ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებთან შეადგენდა 664 მლნ აშშ დოლარს, აქედან ორი მესამედი მოდიოდა თურქმენეთიდან გაზის მოწოდების დავალიანებაზე. მნიშვნელოვანი დავალიანებები იყო ასევე რუსეთთან და ყაზახეთთან.

საქართველოს მიერ აღებული კრედიტების მნიშვნელოვანი მოცულობა მიმართულია ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისათვის. ამ დანიშნულებით უცხოური კრედიტების გამოყენება უდიდეს როლს თამაშობს ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის შენარჩუნებაში. სულ ამ მიზნით გამოყენებულია 294,1 მლნ აშშ დოლარი ანუ კრედიტების მთლიანი ჯამის 18,1%.

აღებული კრედიტების ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების იმპორტს, მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირისა და საწვავის შეძენას, რამაც დიდი როლი ითამაშა მოსახლეობის სოციალური დაძაბულობის შემცირებაში. ამ მიმართულებით გამოყენებულია 671,416 მლნ აშშ დოლარი, რაც კრედიტების მთლიანი მოცულობის 41,31% შეადგენს.

საქართველოს მიერ 1994 წლამდე მიღებულ საერთაშორისო კრედიტებს ჰქონდათ მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მოკლე პერიოდი, რის გამოც 1994 წლის ბოლოსათვის დავალიანებებზე მომსახურების საერთო თანხამ შეადგინა 150 მლნ აშშ დოლარი, რაც იყო საქონლისა და მომსახურების ექსპორტის 31%. რადგან მიმდინარეობდა ოფიციალური რეზერვების სწრაფი შემცირება, ამის გამო 1994 წელს საქართველომ დააგროვა ახალი დავალიანებები თანხით დაახლოებით 409 მლნ აშშ დოლარი. 1995 წლისათვის, უკვე საერთაშორისო დავალიანებებზე მომსახურების თანხამ შეადგინა 325 მლნ აშშ დოლარი, რაც იყო საქონლისა და მომსახურების 69% (რაც 8-ჯერ აჭარბებდა 1994 წლის მდგომარეობით ოფიციალური უცხოური ვალუტის რეზერვების დონეს).

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებები გაფორმებულ იქნა სახელმწიფო კრედიტად, რაც საერთო მოცულობის 14,08% არის. ეს თანხები საქართველოს ფულადი ან საქონლის სახით ფაქტიურად არ მიუღია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მიერ 1994 წლამდე მიღებულ საერთაშორისო კრედიტებს ძალიან მძიმე პირობები ჰქონდათ. როგორიც იყო სომხეთის, თურქეთისა და ყაზახეთის ვალები, რომელთა წლიური საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად წარმოადგენდა პირველ და მეორე ქვეყნის კრედიტებზე — LIBOR+1* (ლონდონის ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის საპროცენტო განაკვეთი), ხოლო მესამეზე — LIBOR+2 ექვსთვიანი დეპოზიტებისათვის. თურქეთის კრედიტზე საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენდა LIBOR+3, ხოლო სომხეთის კრედიტზე კი წლიური 2*(LIBOR+2) ექვსთვიანი დეპოზიტებისათვის.

მაღალი საპროცენტო განაკვეთი არის ასევე გერმანიის მესამე კრედიტზე, რომელიც საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ფირმა "სიმენს"-ს შორის დაიდო საპროცენტო განაკვეთით 7,25% და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამივე კრედიტზე შესაბამისად 7,2%; 6,59% და LIBOR+1 წლიური საპროცენტო განაკვეთით და ამას ემატება ერთჯერადი საკომისიო 1%. აღსანიშნავია, რომ "სიმენსისა" და ერგბ-ს კრედიტები კომერციული სახის არის. ეს უკანასკნელნი მიღებულია სახელმწიფო გარანტიებით.

რუსეთის კრედიტზე საპროცენტო თანხის გადაცილების შემთხვევაში ძალაში შედის საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი 4,5%-ის ოდენობით. თუ საპროცენტო თანხა ამის მერეც არ იქნება დაფარული კიდევ 30 კალენდარულ დღეში, მაშინ რესტრუქტურირების შეთანხმება მისივე მე-6 პუნქტიდან გამომდინარე კარგავს თავის იურიდიულ ძალას და დგება საკითხი კრედიტის მთლიანი თანხის დაფარვაზე.

კარგი პირობები და მაღალი გრანტ-ელემენტი (საკრედიტო თანხის წილი, რომელიც თითქმის გრანტის ტოლფასია და გვიჩვენებს თუ რამდენად შეღავათიანია კრედიტი) აქვს ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულება) მიღებულ კრედიტებს.

ყველაზე საუკეთესო პირობებია გერმანიის I და II კრედიტზე, რომელიც გაცემულია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულების მიერ, რომლებსაც აქვთ 10 და 13 წლიანი შეღავათიანი პერიოდი. ასევე არის მსოფლიო ბანკის კრედიტებზე. აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის კრედიტებზე რესტრუქტურიზაციის შემდეგ გრანტ-ელემენტი საშუალოდ მისაღებია. ისინი აკმაყოფილებენ ფინანსთა სამინისტროს რესტრუქტურირების პროგრამას, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამ პირობების დაცვა განაპირობებდა, ერთის მხრივ, საკუთრივ საგარეო დავალიანების პრობლემის, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოსათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ESAF-ის კრედიტის გამოყოფის საკითხის დადებით გადაწყვეტასაც.

საქართველოსთვის ESAF-ის კრედიტის გამოყოფის წინაპირობად საერთაშორისო სავალუტო ფონდი აყენებდა კრედიტორი ქვეყნების თანხმობას საქართველოს დავალიანების რესტრუქტურირების თაობაზე. რესტრუქტურირების მაშინდელი სქემით გათვალისწინებული იყო მხოლოდ 1995-96 წლების გადასახდელების გადავადება და მათზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება.

სავალუტო ფონდის ინიციატივით ფინანსთა სამინისტრომ მიმართა კრედიტორ ქვეყნებს ასეთი თხოვნით და მიიღო კიდეც მათი თანხმობა. რესტრუქტურირების ზემოთ აღნიშნული სქემის რეალიზების შემთხვევაში საქართველო განთავისუფლებული იქნებოდა 1995-96 წლების განმავლობაში ძირითადი ვალის დაფარვისა და საპროცენტო გადასახადებისაგან და ამასთან ღებულობდა ESAF-ის კრედიტს, რომლის ორი ტრანში 1996 წლის განმავლობაში შეადგენდა 80 მლნ აშშ დოლარს. ასეთი ვარიანტის გატარება ნიშნავდა, რომ 1997 წლიდან დაწყებული ძალაში კვლავ შევიდოდა ძველი საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ვალდებულებები, რომელთა უმრავლესობა გულისხმობდა საპროცენტო თანხებთან ერთად ძირითადი ვალის დაფარვასაც. გარდა ამისა უნდა დაწყებულიყო გადავადებული დავალიანებების საპროცენტო თანხების გადახდაც. მაშასადამე რეალურად მივიღებდით ნახევარწლიან შეღავათიან პერიოდს. ეს კი ნიშნავდა, რომ 1997 წლიდან საქართველო იგივე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა, რომლის წინაშეც ვიდექით რესტრუქტურირების პროცესის დაწყებამდე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ჩვენ ვერ მივაღწევდით მთავარ მიზანს -- ეროვნული ეკონომიკისათვის 3-5 წლიანი შეღავათიანი პერიოდის შექმნას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მისცემდა ამოსუნთქვისა და ფეხზე დადგომის შესაძლებლობას.

ფინანსთა სამინისტროში შემუშავდა ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული რესტრუქტურირების სქემა, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ რესტრუქტურირების თანხის გამოთვლისას მხედველობაში მიიღებოდა, როგორც გარკვეული თარიღისათვის არსებული დავალიანების, ასევე მომავალი გეგმიური გადასახდელების თანხები. ასეთ შემთხვევაში რესტრუქტურირების თანხის გამოთვლა მოხდა შემდეგი წესით:

. კრედიტორთან შეთანხმებით დაფიქსირდა რომელიმე თარიღი;

. ამ თარიღისათვის გაანგარიშდა დავალიანების საერთო თანხა (რომელიც მაქსიმალურ ვარიანტში შეიცავს ძირითად და საპროცენტო თანხებს, და ვადაგადაცილებულ დავალიანებაზე დარიცხულ საჯარიმო თანხას);

. ამ დავალიანების საერთო თანხას დაემატა ძირითადი ვალის დაუფარავი ნაშთი.

ასეთი წესით გამოანგარიშებულ რესტრუქტურირების საერთო თანხაზე გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები, რომლებშიც განისაზღვრა მათი დაფარვის ახალი ვადები, შეღავათიანი პერიოდის ხანგრძლივობა, კრედიტით სარგებლობისა და საჯარიმო საპროცენტო განაკვეთები.

ამ შემთხვევაში, ცხადია, ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები აღარ გრძელდება და, მაშასადამე, კრედიტორთან შეთანხმებული შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში საქართველოს მხარე იხდის მხოლოდ საპროცენტო ვალის თანხას. ამით მივაღწიეთ რეალურ 5 წლიან შეღავათიან პერიოდს, რომლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში უნდა შეიქმნას (ნაწილობრივ მაინც) საგარეო ვალის ძირითადი და საპროცენტო თანხების დაფარვის შიდა წყაროები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინიციატივით ჩატარებული რესტრუქტურირების შედეგად ქვეყანას მიეცა 5 წლიანი შეღავათიანი პერიოდი, რომლის შემდეგაც საპროგნოზო მონაცემებით საშუალება ექნება დაფაროს საერთაშორისო დავალიანებები.

საგარეო ვალების მომსახურება ხორციელდება ამსტერდამის ბანკში თანხების ყოველკვარტალური გადარიცხვებით. 1995 წლიდან დაწყებული საქართველოს ანგარიშზე ამსტერდამის ბანკში ყოველკვარტალურად ჩვენი მთავრობა რიცხავდა 8 მლნ აშშ დოლარს, ე.ი. ყოველწლიურად ეს თანხა შეადგენდა 32 მლნ აშშ დოლარს.

1998 წლის ცენტრალურ ბიუჯეტში საერთაშორისო ვალდებულებათა მომსახურებისათვის გამოყოფილია ხარჯები 49,8 მლნ ლარი (დაახლოებით 37,4 მლნ აშშ დოლარი).

რესტრუქტურირების პირობები ისევ შერჩეული, რომ ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებით ეს

თანხა საკმარისია წლის განმავლობაში საპროცენტო ვალის დასაფარავად. ეს პირობები შემდეგია:

. რესტრუქტურირებული კრედიტის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 10 წლისა (აქედან პირველი 5 წელიწადი უნდა შეადგენდეს შეღავათიან პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა იყოს გადახდილი მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის თანხა).

. საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს არაუმეტეს 4% წელიწადში.

კრედიტის მიღება ან რესტრუქტურიზაცია უნდა მოხდეს არანაკლებ 5 წლიან შეღავათიანი პერიოდითა და არაუმეტეს წლიური 4% საპროცენტო განაკვეთით.

უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა საწყისი საკრედიტო ან სხვა დოკუმენტებისა გაფორმებულია 1992-94 წლებში. ამ დოკუმენტებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკის არც მაშინდელი მდგომარეობა და არც უახლოესი რამდენიმე წლის პროგნოზი. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ამ დოკუმენტების შემდგენელთა დაბალ პროფესიულ დონეზეც. მაგალითისათვის, სომხეთთან დადებულ პირველ საკრედიტო ხელშეკრულებაში საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იყო, როგორც 2*(LIBOR+2), რაც დღეისათვის შეადგენს დაახლოებით 15-16%. ასეთი პირობები მსოფლიო პრაქტიკაში არ მოიძებნება. ამასვე აღნიშნავდნენ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებიც. მსგავსი მდგომარეობა იყო თურქეთისა და ჩინეთის კრედიტებზეც, აქაც მრავლადაა არაპროფესიონალიზმის მაგალითები.

საქართველოს საგარეო ვალი 1998 წლის თებერვლის მდგომარეობით შეადგენს 1,625 მლრდ აშშ დოლარს.

(საქართველოს საგარეო ვალების მდგომარეობის შესახებ იხილეთ ცხრილი N1, გრაფიკი N1 და N2).

საქართველოს მიერ მიღებული კრედიტები სამ ჯგუფად იყოფიან:

- ტექნიკური კრედიტები, რომლებსაც საფუძვლად დაედოთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი) სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება. მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში 14,08% და თითქმის 228,7693 მლნ აშშ დოლარს აღწევს.

სასაქონლო კრედიტები, რომელსაც საფუძვლად დაედო მოწოდებული პროდუქციის (ბუნებრივი გაზი, ხორბალი, სურსათი, მედიკამენტები, ტრაქტორები და სხვა) შედეგად წარმოქმნილი დავალიანება (თურქმენეთის, უკრაინის, ჩინეთის, თურქეთის, ირანის, ევროგაერთიანების კრედიტები). მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 42,16%-ს, საერთო თანხით 685,1824 მლნ აშშ დოლარი.

- სარეაბილიტაციო კრედიტები (რუსეთის მეორე და მესამე, გერმანიის სამი, სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის კრედიტები), რომელიც გამიზნული იყო ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის საჭიროებისათვის. მათი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში შეადგენს 43,76%-ს, ანუ 711,3156 მლნ აშშ დოლარს.

დსთ-ს ქვეყნებიდან მიღებული კრედიტების საერთო თანხა შეადგენს 638,31 მლნ აშშ დოლარს.

ცალკეული ქვეყნების მიერ გამოყოფილი კრედიტების განაწილების, ათვისებისა და დაფარვის არსებული მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. რუსეთის რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი იყო სამი კრედიტი.

1) რუსეთის პირველი კრედიტი თანხით 135 მლნ აშშ დოლარი წარმოიშვა ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე 1992 წელს წარმოებული ოპერაციების შედეგად მიღებული ტექნიკური (საგადამხდელო) კრედიტის ცნობით სახელმწიფო ვალად. სახელმწიფო კრედიტად გაფორმდა 1993 წლის 15 სექტემბერს ქ. მოსკოვში.

2) რუსეთის მეორე კრედიტი თანხით 10.0 მლრდ რუბლი ანუ 6.3 მლნ აშშ დოლარი, წარმოიშვა 1993 წლის 15 სექტემბერს საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის დადებული საკრედიტო შეთანხმებით, რომლის მიზანი იყო ზამთრის სეზონისათვის ენერგოსისტემის მომზადება.

კრედიტის უშუალო მომხმარებლები არიან:

1. ნავთობკონცერნი - 7.9 მლრდ რუბლი.

2. ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო — 0.55 მლრდ რუბლი.

3. ზუგდიდის ქაღალდის კომბინატი - 0.55 მლრდ რუბლი.

4. საქენერგო — 1.00 მლრდ რუბლი.

ნავთობკონცერნმა შემოიტანა ნავთობპროდუქტები, ვაჭრობის სამინისტრომ ფართო მოხმარების საქონელი, ზუგდიდის ქაღალდის კომბინატმა ქაღალდის პრესი.

3) რუსეთის მესამე კრედიტი თანხით 20 მლრდ რუბლი ანუ 6.055 მლნ აშშ დოლარი, წარმოიშვა 1994 წლის 10 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს შორის დადებული საკრედიტო შეთანხმებით, რომლის მიზანი იყო ზამთრის სეზონისათვის ენერგოსისტემის მომზადება. ამ კრედიტის გარანტად ქართულ მხარეს ჩადებული აქვს სახელმწიფო ქონება საწარმოთა აქციების სახით.

კრედიტის უშუალო მომხმარებლები არიან:

1. საქგაზი — 1.5 მლრდ რუბლი, რუსეთის გაზის ვალის დასაფარავად.

2. საქენერგო — 16.0 მლრდ რუბლი, საწვავისა და აღჭურვილობის შესაძენად.

3. მეტროპოლიტენი — 1.0 მლრდ რუბლი, მეტროს რეაბილიტაციისათვის.

4. განათლების სამინისტრო — 0.5 მლრდ რუბლი, წიგნების შესაძენად.

5. ფირმა "ეგრისი" — 1.00 მლრდ რუბლი, შაბიამნის შესაძენად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის მეორე კრედიტით ვაჭრობის სამინისტროსა და ზუგდიდის ქაღალდის კომბინატისათვის გამოყოფილი 1.10

ცხრილი N1

საქართველოს საგარეო ვალები

(მლნ აშშ დოლარი)

N	კრედიტორი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები	კრედიტის თანხა	საპროცენტო განაკვეთი	შეღავათიანი პერიოდი	წილი მთლიან	კრედიტის ხანგრძლივობა თანხაში	გრანტ-ელემენტი	კრედიტის მიღების წელი
1	რუსეთი	179.27	4%	3 წელი	11.03%	10 წელი	28.65%	1997
2	სომხეთი	19.593	4%	5 წელი	1.21%	10 წელი	31.75%	1996
3	აზერბაიჯანი	16.189	4%	5 წელი	1.00%	10 წელი	31.75%	1997
4	ყაზახეთი	27.774	4%	5 წელი	1.71%	10 წელი	31.75%	1996
5	თურქმენეთი	393.567	4%	3 წელი	24.22%	8 წელი	25.82%	1996
6	უზბეკეთი	1.002	4%	5 წელი	0.06%	10 წელი	31.75%	1996
7	უკრაინა	0.91503	4%	4 წელი	0.06%	8 წელი	25.82%	1997
8	ავსტრია	88.1824	4%	5 წელი	5.43%	14 წელი	36.16%	1997
9	ჩინეთი	3.56	4%	5 წელი	0.22%	10 წელი	31.75%	1997
10	გერმანია	56.1023			3.45%			
	I-კრედიტი	3.89213	0.75%	10 წელი	0.24%	30 წელი	77.32%	1994
	II-კრედიტი	7.22825	0.75%	12 წელი	0.44%	30 წელი	79.07%	1996
	III-კრედიტი	6.06061	7.25%	3 წელი	0.37%	13 წელი	16.21%	1994
	IV-კრედიტი	22.2408	0.75%	12 წელი	1.37%	30 წელი	79.07%	1996
	V-კრედიტი	11.1204	0.75%	11 წელი	0.68%	30 წელი	78.23%	1995
	VI-კრედიტი	5.56019	0.75%	11 წელი	0.34%	13 წელი	33.78%	1996
11	თურქეთი	54.3	4%	4 წელი	3.34%	13 წელი	33.78%	1998
12	ირანი	12.826	4%	5 წელი	0.79%	10 წელი	31.75%	1996
13	სსფ *	261.743			16.10%			
	STF-1	37.4417	არაფიქსირე	3 წელი	2.30%	10 წელი		
	STF-2	37.4417	ბული	3 წელი	2.30%	10 წელი		
	Stand-by	29.95	განაკვეთი	3 წელი	1.84%	10 წელი		1995
	ESAF	156.91	0.50%	5,5 წელი	9.65%	10 წელი		1996
14	მსოფლიო ბანკი	330.971			20.36%			
	ა) საინსტიტუციო	9.84953	0.75%	10 წელი	0.61%	35 წელი	79.55%	1994
	ბ) მუნიციპალური	16.8656	0.75%	10 წელი	1.04%	35 წელი	79.55%	1994
	გ) პარეპბილიტაციო	68.8118	0.75%	10 წელი	4.23%	35 წელი	79.55%	1995
	დ) ტრანსპორტის	10.9289	0.75%	10 წელი	0.67%	35 წელი	79.55%	1996
	ე) ჯანდაცვის	13.0877	0.75%	10 წელი	0.81%	35 წელი	79.55%	1996
	ვ) SAC	55.7241	0.75%	10 წელი	3.43%	35 წელი	79.55%	1996
	ზ) SATAC	4.45253	0.75%	10 წელი	0.27%	35 წელი	79.55%	1996
	თ) სოფლ. მეურნეობა	14.0322	0.75%	10 წელი	0.86%	35 წელი	79.55%	1997
	ი) ნავთობის ინსტიტუციონ	1.34925	0.75%	10 წელი	0.08%	35 წელი	79.55%	1997
	კ) ენერგეტიკა	50.8668	0.75%	10 წელი	3.13%	35 წელი	79.55%	1997
	ლ) SAC-2	59.6369	0.75%	10 წელი	3.67%	35 წელი	79.55%	1997
	მ) SATAC-2	4.99223	0.75%	10 წელი	0.31%	35 წელი	79.55%	1997
	ნ) მუნიც. განვ. და დეცენტრ.	20.3737	0.75%	10 წელი	1.25%	30 წელი	77.32%	1997
15	ევროგაერთიანება**	131.832			8.11%			
	I-კრედიტი	76.902	არაფიქსირე	3 წელი	4.73%	3 წელი		1992
	II-კრედიტი	10.986	ბული	3 წელი	0.68%	3 წელი		1993
	III-კრედიტი	43.944	განაკვეთი	4 წელი	2.70%	3.5 წელი		1993
16	ერგბ	41.1			2.53%			
	ა) საქენერგოს კრედიტი	18.1	7.20%	4 წელი	1.11%	14 წელი	16.25%	1994
	ბ) აეროპორტის კრედიტი	11	6.59%	3 წელი	0.68%	10 წელი	16.28%	1995
	გ) საკრედიტო ხაზი	12	LIBOR+1%	2,5 წელი	0.74%	9,5 წელი	15.29%	1996
17	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	6.34148	0.75%	10 წელი	0.39%	40 წელი	81.80%	1997
	სულ	1625.2689						

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია 31.12.1997 წლის საქართველოს ეროვნული ბანკის კროსკურსების გათვალისწინებით
1 USD=1,7985 DEM; 1 USD=1,0986 ECU; 1 USD=0,741152 SDR;
1 USD=12,6290 ATS; 1 USD=1,522472 CHF.

* საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებზე არის ცვალებადი სავალუტო კურსი, რომელიც დაახლოებით 3% ტოლია.

** ევროგაერთიანებასთან ხელმოწერილია და რატიფიცირებულია ახალი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ძველი დავალიანების 131,832 მლნ აშშ დოლარის დაფარვის შემდეგ მივიღებთ ახალ კრედიტს (იხილეთ გვ. 25).

მლრდ რუბლი, ხოლო მესამე კრედიტით განათლების სამინისტროსა და ფირმა "ეგრისი"-სათვის გამოყოფილი 1.5 მლრდ რუბლი არამიზნობრივადაა გამოყენებული. ის ფაქტი, რომ კრედიტები არამიზნობრივად მოიხმარება, ხელს უშლის მათ ეფექტურად გამოყენებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს მხარეს ამ შეთანხმების საფუძველზე გირაოში ჩადებული აქვს სააქციო საზოგადოებების "ჭიათურმარგანეცისა" და "ელექტროვაგონშემკეთებელის" აქციების პაკეტი ნომინალური ღირებულებით 10,5 მლნ აშშ დოლარი. საგარეო კრედიტების მიღებისას საკმარისია სახელმწიფო გარანტია და არა საჭირო დამატებით რაიმე გირაოს ჩადება, როგორც ეს არის აღნიშნულ კრედიტზე.

1997 წლის 17 იანვარს ხელი მოეწერა საქართველოს რუსეთისადმი დავალიანების რესტრუქტურების შეთანხმებას, რომლითაც გაერთიანდა მანამდე მოქმედი სამივე საკრედიტო შეთანხმება.

რესტრუქტურირებული შეთანხმებით განისაზღვრა:

- რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 179.27 მლნ აშშ დოლარი;
- სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-1999 წლები;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2000-2007 წლები;
- საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საპროცენტო თანხის გადახდა წარმოებს ყოველკვარტალურად არაუგვიანეს კვარტლის მესამე თვის 30 რიცხვისა, გადაცილების შემთხვევაში კი ძალაში შედის საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი 4,5%-ის ოდენობით. თუ საპროცენტო თანხა ამის მერეც არ იქნება დაფარული კიდევ 30 კალენდარულ დღეში, მაშინ რესტრუქტურირების შეთანხმება მისივე მე-6 პუნქტიდან გამომდინარე კარგავს თავის იურიდიულ ძალას და დგება საკითხი კრედიტის მთლიანი თანხის დაფარვაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1997 წლის 17 იანვრის შეთანხმებით რესტრუქტურიზაციის შესახებ ჩვენ ვერ მივაღწიეთ ადრე ხელმოწერილ პირველ, მეორე და მესამე საკრედიტო შეთანხმებებში არსებული ზოგიერთი დებულების მოხსნას. ასე მაგალითად, შეთანხმების მიხედვით:

ა) საქართველოს მხარის მიერ ნაკისრ სავალო ვალდებულებათა დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვცემული შეთანხმებით გადავადებული ყველა თანხა ჩაითვლება ვადაგადამდგარ გადასახდელად და უნდა იქნეს დაუყოვნებლივ გადახდილი.

ბ) ყველა დანარჩენში, რაც არ არის გათვალისწინებული შეთანხმებაში რესტრუქტურიზაციის შესახებ, მოქმედებენ ადრე მოქმედი სამივე საკრედიტო შეთანხმების პირობები.

მითითებული გარემოებები ნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ დროულად არ იქნება გადახდილი რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით გათვალისწინებული თუნდაც ერთი გადასახდელი, მაშინ საქართველოს მთავრობამ მეორე დღესვე:

- უნდა გადაუხადოს რუსეთს თანხა 138.87 მლნ აშშ დოლარის ოდენობით;
- რუსეთს უჩნდება ფორმალური უფლება ჩვენი დავალიანების დაფარვის ანგარიშში დაიტოვოს თავის საკუთრებაში საქართველოს მიერ გირაოდ გადაცემული აქციების წილი წარმოქმნილი დავალიანების მოცულობის ექვივალენტური თანხის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ რესტრუქტურირების შეთანხმება არ არის რატიფიცირებული რუსეთის ფედერაციის პარლამენტის მიერ, რის გამოც რუსეთის ფედერაციის ცენტრალურმა ბანკმა 1997 წლის დასაწყისში უარი განაცხადა, რათა საქართველოს მხარის გადასახადების დარიცხვა მომხდარიყო ხელმოწერილი რესტრუქტურირების შეთანხმების შესაბამისად. მხოლოდ რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ჩარევის შემდეგ მოხერხდა პრობლემური სიტუაციის მოგვარება. რამდენად ხელსაყრელია კრედიტის რესტრუქტურიზაციის პირობები, ეს კიდევ გასარკვევია.

რუსეთის კრედიტები კაბალური პირობებით იქნა მიღებული, რაზეც მიუთითებს: დაბალი შეღავათიანი პერიოდი, გადავადების შეუძლებლობა, გირაოდ ჩადებული საწარმოების აქციები.

საინტერესოა აღვნიშნოთ რუსეთ-საქართველოს ფინანსურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი იყო რესტრუქტურირებული თანხის დასადგენად საკრედიტო მოლაპარაკებისას, რომლებზეც საუბარი გვექნება შემდგომში საქართველოს პრეტენზიების განხილვისას.

2. უკრაინიდან საქართველოს კრედიტის სახით ერიცხება 915.029 აშშ დოლარი. კრედიტი გაფორმდა 1997 წლის თებერვალში და წარმოშობილი იყო საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციისა და მეფრინველეობის მრეწველობის დავალიანებით კომპანია "ხლებ უკრაინი"-სადმი, რომელიც შემდგომ გაფორმდა სახელმწიფო კრედიტად.

1997 წლის 13 თებერვალს ხელი მოეწერა უკრაინისადმი დავალიანების რესტრუქტურიზაციის შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრა:

- რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 915 ათასი აშშ დოლარი;
- ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2001 წლები;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2000-2005 წლები;
- საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;
- საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4,5%.

3. სომხეთიდან საქართველოს რესპუბლიკას ორი კრედიტი აქვს მიღებული. პირველი თანხით 10.6 მლნ აშშ დოლარი წარმოიშვა 1992 წლის განმავლობაში და 1993 წლის იანვარ-მაისის თვეებში ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე წარმოქმნილი დავალიანების ცნობით სახელმწიფო კრედიტად, ხოლო მეორე კრედიტი თანხით 6,5 მლნ აშშ დოლარი 1993 წელს სომხეთის რესპუბლიკასთან წარმოებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთო-

ბებით წარმოქმნილი დავალიანების სახელმწიფო კრედიტად გაფორმების შედეგად.

1996 წლის 5 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოს სომხეთისადმი დავალიანების რესტრუქტურირების შეთანხმებას, რომლითაც გაერთიანდა მანამდე მოქმედი ორი საკრედიტო ხელშეკრულება.

რესტრუქტურირების შეთანხმებით განისაზღვრა შემდეგი:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 19,6 მლნ აშშ დოლარი;

– ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1996-2000 წლები;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2005 წლები;

– საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს სომხეთის მხარისადმი გააჩნია პრეტენზიები, რომელსაც განვიხილავთ შემდგომში სხვა პრეტენზიებთან ერთად.

4. აზერბაიჯანის მიერ გამოყოფილი იყო ორი კრედიტი:

ა) პირველი კრედიტი თანხით 4.9 მლნ აშშ დოლარი, წარმოიშვა ეროვნულ ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებზე 1993 წლის 17 ივნისამდე წარმოქმნილი დავალიანებით, რომელიც საქართველოს მიერ ცნობილი იქნა სახელმწიფო კრედიტად.

ბ) მეორე კრედიტი თანხით 2.68 მლნ აშშ დოლარი, წარმოიშვა 1993 წლის 26 ივნისს ქ.ბაქოში, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობის შორის დადებული სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებით, რომლის მიზანი იყო ზამთრის სეზონისათვის ენერგოსისტემების მომზადება.

კრედიტის უშუალო მომხმარებლები არიან:

1. კონცერნი "საქნავთობპროდუქტი" — 2.8 მლრდ რუბლი;

2. დეპარტამენტი "საქენერგო" — 0.184 მლრდ რუბლი. ამ კრედიტით შეძენილია საწვავ-საცხები მასალები.

ამას დაემატა 1992 წლის განმავლობაში (საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე) წარმოქმნილი სალდო 6.988 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.

1997 წლის 19 იანვარს ხელი მოეწერა საქართველოს აზერბაიჯანისადმი დავალიანების რესტრუქტურირების შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრა:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 16 მლნ აშშ დოლარი;

– ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2002 წლები;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2002-2007 წლები;

– საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

– საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4,5%.

5. ყაზახეთიდან საქართველოს ორი კრედიტი აქვს მიღებული:

ა) პირველი, თანხით 17.9 მლნ აშშ დოლარი, წარმოიშვა ყაზახეთის ეროვნული ბანკიდან 1992 წელს მიღებული ტექნიკური (საგადამხდელო) კრედიტით წარმოქმნილი დავალიანების სახელმწიფო კრედიტად ცნობის შედეგად.

ბ) ყაზახეთის მეორე კრედიტი, თანხით 4,451 მლნ აშშ დოლარი, წარმოიშვა 1993 წლის იანვარ-ოქტომბერში ყაზახეთის რესპუბლიკასთან წარმოებული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის (პურის ხორბლის მიწოდება) შედეგად წარმოქმნილი დავალიანების სახელმწიფო კრედიტად ცნობის შედეგად.

1996 წლის 1 ივლისს ხელი მოეწერა საქართველოს ყაზახეთისადმი დავალიანების რესტრუქტურირების შეთანხმებას, რომლითაც გაერთიანდა მანამდე მოქმედი ორი საკრედიტო შეთანხმება და განისაზღვრა:

– რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 27,8 მლნ აშშ დოლარი;

– ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2000 წლები;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2005 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

– საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 5%.

გარდა ამისა, დაისვა საკითხი დარიცხული საჯარიმო თანხების 2,6 მლნ აშშ დოლარის ჩამოწერის თაობაზე, რაზეც მიღებული იქნა ყაზახეთის მხარის თანხმობა და დაფიქსირდა შესაბამისი ოქმით.

6. უზბეკეთის კრედიტს საფუძვლად დაედო 1992 წლის განმავლობაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება, რომელიც 1996 წლის 28 მაისის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა, როგორც სახელმწიფო კრედიტი.

საკრედიტო შეთანხმებით განისაზღვრა:

– კრედიტის თანხა 1,002 მლნ აშშ დოლარი;

— ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2000 წლები;

– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2005 წლები;

– საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

– საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4,5%.

7. თურქმენეთის კრედიტი, თანხით 393,567 მლნ აშშ დოლარი, წარმოიშვა 1992 წლის და 1993 წლის 7 თვის შედეგებით საკორესპონდენტო ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი სხვაობისა და 1993-94 წლებში მოწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულებით, აგრეთვე, მასზე დარიცხული სანქციებით, რომელმაც საერთო ჯამში შეადგინა 440,3 მლნ აშშ დოლარი. დავალიანების თანხამ რესტრუქტურიზაციის თარიღისათვის 35,42 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1996 წლის 20 მარტს ქ.თბილისში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება რესტრუქტურიზაციის შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი:

— რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 393,6 მლნ აშშ დოლარი;

— ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1995-1997 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1998-2002 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

— საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 6%.

შეღავათიანი პერიოდი განსაზღვრულია 3 წლის ვადით, რეალურად კი იმის გათვალისწინებით, რომ

თურქმენეთის მხარემ ჩამოგვაწერა დარიცხული საჯარიმო თანხები დაახლოებით 51 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, შეღავათიანი პერიოდის ხანგრძლივობა ექვივალენტურია 5 და მეტი წლისა. გარდა ამისა, მიღებულია თურქმენეთის მხარის თანხმობა შეღავათიანი პერიოდის გაგრძელების შესაძლებლობის თაობაზე.

თუ არ მოხდება თურქმენეთის კრედიტზე შეღავათიანი პერიოდის გაგრძელება თუნდაც ერთი წლით, უკვე 1998 წელს ძირითადი ვალის ანგარიშში გადასახდელი გვექნება 78,713 მლნ აშშ დოლარი, რაც დამატებით კიდევ მოითხოვს ბიუჯეტიდან 102-103 მლნ ლარის ასიგნებას.

სხვა ქვეყნებიდან მიღებული კრედიტების საერთო თანხა შეადგენს 214,97 მლნ აშშ დოლარს.

1. ავსტრიის მიერ გამოყოფილია ორი კრედიტი შესაბამისად თანხებით 89 მლნ აშშ დოლარი და 21,5 მლნ აშშ დოლარი.

1) პირველი ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და ავსტრიის კონტროლ ბანკს შორის, რომლითაც რესტრუქტურირებული იქნა ორივე საკრედიტო თანხების ავსტრიის რესპუბლიკის მიერ გარანტირებული ნაწილი.

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 1.079.577.725 ავსტ. შილინგი;

შეღავათიანი პერიოდი, 1997-2001 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2012 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

2) მეორე ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოსა და ავსტრიის ბანკ "კრედიტანშტალტ"-ს შორის, რომლითაც რესტრუქტურირებული იქნა ორივე საკრედიტო თანხების არაგარანტირებული ნაწილი.

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 34.077.576 ავსტ. შილინგი;

შეღავათიანი პერიოდი, 1997-2001 წლები;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2012 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

2. ირანის კრედიტი. 1996 წლის 19-24 ივლისის განმავლობაში თეირანში (ირანის ისლამური რესპუბლიკა) ჩატარდა მოლაპარაკებები ირანის გაზის ეროვნულ კომპანიასა და სახელმწიფო დეპარტამენტ "საქგაზ"-ს შორის 1994 წლის 6 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად ირანიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის დავალიანების თაობაზე, რის შედეგადაც შემუშავდა შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 12,6 მლნ აშშ დოლარი;

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2001 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2001-2006 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

— საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 6%.

3. ჩინეთის მიერ გამოყოფილი იყო კრედიტი (რესტრუქტურიზაციამდე) 3,6 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. კრედიტი წარმოიშვა 1994 წლის 2 თებერვალს ქ.პეკინში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ გაერთიანება "საქიმპექს"-სა და ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო კორპორაცია "მაშინ-პექს"-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

"საქიმპექს"-მა რესპუბლიკაში შემოიტანა 1204 ცალი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი, რომელთა საცალო ფასი 4200 აშშ დოლარს შეადგენდა და არ იყო ხელმისაწვდომი არც ერთი ფერმერისათვის, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ის გაცილებით იაფი ღირდა. ტრაქტორები დღეისათვის განთავსებულია ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის საწყობში სარეალიზაციოდ. ამონაგები თანხის 35% გადაეცემა ამავე ქარხანას კრედიტის სახით, ხოლო დანარჩენი თანხა ჩაირიცხება ბიუჯეტში. რეალიზებული ტრაქტორების საერთო თანხიდან გამომდინარე თითოეულის ღირებულება საშუალოდ უტოლდება 1650 ლარს. ამ ფასში რეალიზაციის შედეგად შემოსული ამონაგები ვერ უზრუნველყოფს დავალიანების თანხის დაფარვის შესაძლებლობას. ამის გამო მიდიოდა მოლაპარაკება ჩინეთის მხარესთან, რის შედეგადაც შეთანხმდნენ დავალიანების რესტრუქტურიზაციაზე.

რესტრუქტურირების შეთანხმებით განისაზღვრა შემდეგი პირობები:

რესტრუქტურირებული კრედიტის თანხა 5,42 მლნ შვეიცარული ფრანკი (3,56 აშშ დოლარი);

ხუთწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1998-2002 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2003-2007 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%.

3. თურქეთის კრედიტი. 1992 წლის 10 დეკემბრის შეთანხმების ოქმის საფუძველზე საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები "შეთანხმდნენ, თურქეთის საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს შორის გაიხსნას სპეციალური საკრედიტო ხაზი. ეს საკრედიტო ხაზი მოიცავს მხოლოდ თურქეთიდან საქართველოში შემდგომში განსახორციელებელ საექსპორტო ოპერაციებს. საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით აუცილებელ სპეციფიკურ იმპორტში ბანკი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სავაჭრო ოპერაციებს აღნიშნული საკრედიტო ხაზების მეშვეობით განახორციელებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მიზნით მიღებულ კრედიტებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა მიმართ გარანტად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გამოვა". ("შეთანხმების ოქმი" 1992 წლის 10 დეკემბერი.)

ამ შეთანხმების საფუძველზე 1993 წლის 12 თე-

ბერვალს დაიდო ახალი "საკრედიტო შეთანხმება თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის", რომელშიც ნათქვამია, რომ: "თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკი განათავსებს 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხას ამორჩეული თურქული წარმოების საქონლის ფობ-ღირებულების 95% დაფინანსებისათვის, რომელიც იმპორტირებული იქნება ქართველი იმპორტიორების მიერ თურქეთიდან". ("საკრედიტო შეთანხმება თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის". 1993 წლის 12 თებერვალი ქ.ანკარა. მუხლი 1 პუნქტი "ბ".)

მითითებული შეთანხმების თანახმად სესხის გაცემის ძირითადი პირობებია:

— თურქეთის მხრიდან მოწოდებული პროდუქციის მინიმუმ 50% უნდა იყოს თურქული წარმოების;

— კრედიტით იფარება მოწოდებული საქონლის ღირებულების მხოლოდ 95%, საქართველოს მხარე იხდის დარჩენილ 5%-ს;

— წლიური საპროცენტო განაკვეთი LIBOR+1%;

საპროცენტო თანხის გადახდის პერიოდია ყოველი 6 თვე;

კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, შემდეგი სქემის მიხედვით: 40% — 40% — 20%, დაწყებული კონკრეტული პროექტით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების თარიღიდან;

ნებისმიერი თანხის გადაუხდელობა (იქნება ეს ძირითადი თუ საპროცენტო თანხა) ჯარიმდება დამატებითი საპროცენტო განაკვეთით LIBOR+4% ყოველი გადაუხდელი თანხიდან;

— კრედიტის დაფარვა წარმოებს საიმპორტო დოკუმენტური, არაგაუქმებადი და არაგადაცემადი აკრედიტივით, რომელიც არ შეიცავს გადავადებული გადახდის პირობებს.

კრედიტის გაცემის ასეთი პირობები, როგორც ვადების, ასევე დაფარვის თვალსაზრისით, იმდენად მკაცრი და ძნელად შესასრულებელია, რომ საქართველოს მხარეს მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა შეთანხმების თაობაზე ჩატარებული მოლაპარაკებებისას, კრედიტის გაცემის პირობების ლიბერალიზაციის მისაღწევად საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე სესხის ამღები ორგანიზაციებიდან მოითხოვდა საკრედიტო პროექტების სრულყოფილ და ობიექტურ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, კრედიტის გამოყენების ეფექტურობის, ათვისებისა და დაფარვის თვალსაზრისით.

მაგალითად, საქართველოს მხარისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო საბაზო საკრედიტო შეთანხმების მე-9 მუხლის "ა" პუნქტის დებულება, სადაც მითითებულია, რომ "Обязательства EIB-а (экспимбанк Грузии) выплатить любую сумму в рамках кредитного соглашения является безусловным и ни в коем отношении юридически независимым от выполнения Экспортером своих обязательств по Экспортному контракту и никогда не будет подвержено влиянию любой причины или любой претензии которую EIB или соотвествующий импортер мог бы иметь или предпологать против Экспортера". ("საკრედიტო შეთანხმება თურქეთის საექსპორტო საკრედიტო ბანკსა და საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტ-იმპორტის ბანკს შორის". 1993 წლის 12 თებერვალი ქ.ანკარა. მუხლი 9 პუნქტი "ა").

აღნიშნული მუხლის პირობებმა ყველა სახის პასუხისმგებლობა მოუხსნა თურქ ექსპორტიორებს კონტრაქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, ხოლო ქართველ იმპორტიორებს არ დაუტოვა არავითარი სამართლებრივი გარანტიები და მექანიზმები ექსპორტიორების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების თავიდან აცილებისა.

მითითებული შეთანხმების მე-9 მუხლის "ბ" პუნქტში ნათქვამია, რომ საკრედიტო შეთანხმება შედგენილია და მისი მართვა ხდება ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად, აქედან გამომდინარე ნებისმიერი პრეტენზიისა და დავის განხილვისას მხარეები აზრის გამოუთქმელად უნდა დაემორჩილონ ლონდონის (ინგლისის) სასამართლოს იურისდიქციას.

კრედიტის თანხა განაწილებული იყო რვა უწყებასა და ორგანიზაციაზე:

1) პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია — 12.9 მლნ აშშ დოლარი.

2) ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო — 8.95 მლნ აშშ დოლარი.

3) შ.პ.ს. "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" — 5.1 მლნ აშშ დოლარი.

4) ფირმა "გევა" — 5.0 მლნ აშშ დოლარი.

5) შულავერის მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკა — 2.5 მლნ აშშ დოლარი.

6) სააქციო საზოგადოება "არაგვი" — 3.3 მლნ აშშ დოლარი.

7) რუსთავის ცემენტის ქარხანა — 2.7 მლნ აშშ დოლარი.

8) კავშირგაბმულობის სამინისტრო — 12.16 მლნ აშშ დოლარი.

კრედიტის გარანტად გვევლინება ფინანსთა სამინისტრო. კრედიტის მიმღებ ორგანიზაციებსა და უწყებებს გაფორმებული ჰქონდათ კონტრაქტი თურქ პარტნიორებთან.

ცალკეული კრედიტორი ორგანიზაციების მიხედვით მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

1) პურპროდუქტების კორპორაციის მიერ საქართველოში შემოტანილ იქნა 12,4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ხორბალი და ფქვილი. ორგანიზაციისათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ მოსახლეობაზე პურის რეალიზაცია მოხდებოდა ნორმირებული პურის მიყიდვის წესით და ამდენად ვერ შეძლებდა დავალიანების დაფარვას, რაც მხედველობაში არ იქნა მიღებული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებისას.

იმის გათვალისწინებით, რომ სესხით შეძენილი ხორბლისაგან წარმოებული პურის რეალიზაცია მოხდა მთავრობის მიერ დადგენილ მყარ ფასებში და ბიუჯეტში შეტანილია პურის რეალიზაციიდან მიღებული აუცილებელი შენატანები, ფინანსთა სამინისტრო მიზანშეწონილად თვლის გათავისუფლდეს კორპორაცია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

2) ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სა-

მინისტროს გამოყოფილი ჰქონდა კრედიტი 8950856 აშშ დოლარის ოდენობით, უპირველესად კვების პროდუქტებისა და აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგნების შესაძენად.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციას ამის უფლება არ ჰქონდა, თურქეთის მხარეს უშუალოდ გაუფორმა კონტრაქტები.

სამინისტროსა და N4 მაცივარ-კომბინატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კომბინატი ითვლება კრედიტით მიღებული საქონლის გენერალურ მფლობელად. ამიტომ სასესხო დავალება იმის მაგივრად, რომ ასახული იყოს სამინისტროს ბალანსში, ასახულია მაცივარ-კომბინატის ბალანსში.

შემოტანილი საქონლიდან 1,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების გადატვირთულია ქ.როსტოვში შ.პ.ს. "ზარიას"-ს მისამართით. 1995 წლის 29 მაისს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად "ზარია"-ს ანგარიშსწორება უნდა მოეხდინა საქონლის მიღებიდან სამ დღეში 25%, ხოლო დანარჩენი 75% ორი თვის განმავლობაში, მაგრამ "ზარია"-ს დღემდე არავითარი ანგარიშსწორება არ განუხორციელებია.

კონტრაქტის შესაბამისად "ზარია"-ს მიერ მიღებული საქონლის საფასურის დროული გადახდის გარანტად გვევლინება შვეიცარიული ფირმა "ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ"-ი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონტრაქტში არ არის მითითებული "ზარია"-ს და "ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ"-ის სრული რეკვიზიტები. კერძოდ, არ არის მითითებული "ზარია"-ს სრული მისამართი, მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის ნომერი, ხოლო გარანტის "ალბატროს ჰოლდინგ ლიმიტედ"-ის შესახებ არ არის მითითებული მისამართი, მარეგისტრირებელი ორგანო, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, სათანადო ბანკის ცნობა ფირმის გადახდისუნარიანობისა და სანდოობის შესახებ, წარმომადგენლის თანამდებობა, უფლებამოსილება და გვარი. გაურკვეველია, როგორ მოხდა ხელშეკრულების ასეთ პირობებში გაფორმება.

სავაჭრო ობიექტებიდან დატაცებულია 23 ათასი აშშ დოლარის საქონელი, ვაგონის დაწვითა და მტვრევით მიღებულია 79,7 ათასი აშშ დოლარის ზარალი.

გაუგებარია ის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ჩაწოლილი საქონლის რეალიზაცია. არავითარი კონკრეტული წინადადებები ამ საკითხების შესახებ ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს მემკვიდრეს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა და ვაჭრობის სამინისტროს ამ საკითხის გადასაწყვეტად არ გააჩნია.

აღნიშნული მდგომარეობის შექმნას ხელი შეუწყო იმანაც, რომ სესხის აღებისას არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს მოსახლეობის მაშინდელი დაბალი მსყიდველობითუნარიანობა, საქონლის შესყიდვის მაღალი ფასები, საქონლის ხარისხი, ანალოგიური საქონლის შემოტანის სხვა წყაროების არსებობა და არ გაკეთებულა ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესწავლა და თუნდაც მოკლევადიანი პროგნოზი.

3) შ.პ.ს. "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"-სადმი გამოყოფილია კრედიტი 4 844 998 აშშ დოლარი. კრედიტის თანხით შეძენილია ყუთები, ბოთლები და საცობები.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს 1994 წლის 19 მაისის წერილით ირკვევა, ფირმა "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"-ს 1993 წლის თებერვალში გამოყოფილი ჰქონდა შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტი წლიური 7%-იანი განაკვეთით, თანხით 2.1 მლრდ რუბლი, რაც მაშინდელი კურსით 3.75 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. აღნიშნული კრედიტის რაციონალური გამოყენებით ფირმას შეეძლო რამდენიმე წლის ნედლეულის მარაგის შეძენა და საკმაოდ გაფართოვებული წარმოების მოწყობა, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საფუძველმოკლებულად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ფირმას კვლავ გამოეყო 5.1 მლნ აშშ დოლარის კრედიტი იგივე ნედლეულისა და მასალების შესაძენად.

შ.პ.ს. "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"-ს სხვა ორგანიზაციებთან შედარებით სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორგანიზაციას, რომელსაც დიდი მასშტაბების ბრუნვა აქვს, უჭირს ეტაპობრივად მაინც დაფაროს კრედიტი. თუმცა, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით "კოკა-კოლას" მიერ მიღწეული შედეგები ემყარება სესხის არდაფარვის შედეგად წარმოშობილი დამატებითი ფინანსური რესურსების წარმოებაში რეინვესტირებას.

4) ფირმა "გევა"-ს მიერ მიღებული 4,7 მლნ აშშ დოლარის სესხით თურქეთიდან შემოტანილია და სოფელ ნატახტარში დამონტაჟებულია ბუნებრივი სასმელი წყლის პლასმასის ბოთლებში ჩამოსასხმელი სრულციკლიანი ქარხანა. არის შესაძლებლობა ჩამოისხას 1,5 ლიტრის ტევადობის 50 მლნ ბოთლი.

უხარისხო ფილტრების მოწოდების გამო, რაც მოგვიანებით იქნა აღმოჩენილი, 1995 წელს გამოშვებული მთელი პროდუქცია უვარგისი აღმოჩნდა. კერძოდ, გამოკრისტალდა ნალექი ქ.მოსკოვში გადატვირთული პირველი პარტიის პროდუქციაში.

აღნიშნულის გამო ფირმამ დაკარგა ძლიერი პარტნიორები და დათმო პოზიციები მოსკოვის ბაზარზე და რაც მთავარია პროდუქციას შეელახა სახელი.

5) შულავერის მატყლის ფაბრიკას მიღებული აქვს 2.5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი. პროექტი და მისი შესაბამისი კონტრაქტი ითვალისწინებდა ორი ათას ტონამდე დაუმუშავებელი მატყლის შეძენას, ფაბრიკაში არსებულ სიმძლავრეებზე გადამუშავებას და ნაწილობრივ რეალიზაციას, ხოლო მეორე ნაწილის გამოყენებით მაუდ-კამვოლის კომბინატში სასაქონლო ნართისა და მზა საკოსტუმე საპალტოვე ქსოვილის წარმოებას.

ფაქტიურად შემოტანილია 956 ტონა მატყლი. თურქეთის მიერ გამოგზავნილია უკიდურესად დაბალი ხარისხის გაურეცხავი მატყლი, რომელიც არ შეესაბამება კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს. ამავე მიზეზით ფაბრიკის მიერ არ იქნა მიღებული მეოთხე პარტია და ეს უკანასკნელი მომწოდებელს უკან დაუბრუნდა.

თურქეთის მხარის მიერ შულავერის მატყლის ქარხნისათვის ზარალის ანაზღაურების მიზნით საქმე აღიძრა ქ.მოსკოვის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში, რომლის 1995 წლის 1 თებერვლის N136 გადაწყვეტილებით თურქეთის მხარეს დაეკის-

რა ქარხნისათვის 2.374.012 აშშ დოლარის ზარალის ანაზღაურება. თურქეთის მხარის მიერ აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნა გაზიარებული. საკითხი განმეორებით იხილება ქ.ანკარის სასამართლოში. გადაწყვეტილება ჩვენთვის უცნობია.

6) სააქციო საზოგადოება "არაგვს" საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით გამოყოფილი ჰქონდა 3.8 მლნ აშშ დოლარის კრედიტი, გუდაურის სამთო სათხილამურო ცენტრში 64 ადგილიანი ტურისტული კომპლექსის მშენებლობისათვის, მოსაპირკეთებელი მასალების, ინვენტარისა და სხვადასხვა მოწყობილობების შესაძენად.

თურქეთის მხარის მიზეზით აკრედიტივი გახსნილია მხოლოდ სესხის ნაწილზე და 1994 წელს შემოტანილი იქნა 1,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. სესხის დარჩენილ ნაწილზე აკრედიტივი არ გახსნილა ფირმისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რის გარეშეც შეუძლებელია მოსაპირკეთებელი სამუშაოების გაგრძელება.

7) რუსთავის ცემენტის ქარხანას გამოყოფილი ჰქონდა 2.7 მლნ აშშ დოლარი. შემოტანილია და დამონტაჟებულია სხვადასხვა დანიშნულების ტექნოლოგიური დანადგარები: შემფუთავ-გადამტვირთავი მოწყობილობების კომპლექტი, სატრანსპორტო მოწყობილობები, საკომპრესო დანადგარები და სხვა.

ქარხნის მიერ სესხის მღების შემდეგ პერიოდში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა (ძირითადად ენერგოკრიზისმა) რეკონსტრუქციის შედეგად ნავარაუდევი ეფექტი ვერ მოგვცა. წარმოების დონე და დავალიანებები ბიუჯეტისა და სხვა ორგანიზაციების მიმართ არ იძლევა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ქარხანაში შექმნილი ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ქარხანამ დამატებითი ღონისძიებების გარეშე უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების შესრულება, როგორც თურქეთის კრედიტის ასევე ბიუჯეტის წინაშე დავალიანებების დაფარვისათვის.

წინასწარი გაანგარიშებით წელიწადში 200-250 ათასი ტონა ცემენტის წარმოების დონის მიღწევა ქარხანას მისცემს შესაძლებლობას დაფაროს დავალიანების თანხა. მაგრამ რუსთავის ცემენტის ქარხანას ამისათვის არ გააჩნია საკმარისი თანხა აუცილებელი საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

8) კავშირგაბმულობის სამინისტროს გამოყოფილი ჰქონდა 12.16 მლნ აშშ დოლარი. ეს პროექტი ითვალისწინებდა ქობულეთი-ფოთი-ლანჩხუთი-ქუთაისი და ბათუმი-ხელვაჩაური ციფრული რადიო სარელეო ხაზების მშენებლობას.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო კრედიტის დავალიანების არდაფარვას ხსნის იმით, რომ აბონენტთა ნაწილი ვერ უზრუნველყოფს კავშირგაბმულობის მომსახურების დროულად ანაზღაურებას. ეს საკითხი შესწავლის საგანი უნდა გახდეს, მითუმეტეს, რომ სამინისტრო რეალურად ფლობს იმ ბერკეტებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია აბონენტთა მიერ ანაზღაურების გადახდისა და სესხის დაფარვის უზრუნველყოფა.

ამავე დროს საქართველოს ექსიმბანკის 1995 წლის დასკვნით სამინისტროს შესწევს უნარი დროულად დაფაროს ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო ვალი და ამიტომ არ საჭიროებს რესტრუქტურირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად საქართველოს პროკურატურაში არსებული მონაცემებით 1993 წლიდან მოყოლებული დღემდე თურქეთის კრედიტის მიმღები ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უხეშად დაარღვია სესხით სარგებლობის წესი და დღესაც თავს არიდებს ძირითადი ვალისა და საპროცენტო თანხების გადახდას, რაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს "საქექსიმბანკს", რომელსაც სესხის აღებისას გარანტად დაუდგა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო (სახელმწიფო ბიუჯეტი).

1998 წლის 4 თებერვალს ხელი მოეწერა რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

— კრედიტის თანხა 54,3 მლნ აშშ დოლარი;

— ოთხწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1998-2001 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2002-2010 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 4%;

— საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 6%.

4. გერმანიის მიერ საქართველოს მხარის მიმართ გამოყოფილია ექვსი კრედიტი:

1) გერმანიის პირველი კრედიტი თანხით 7,0 მლნ გერმანული მარკა, წარმოიშვა 1992 წლის 2 დეკემბერს, ქ.მაინის ფრანკფურტში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულებით. კრედიტის მიზანია: სექტორის პროგრამა — კერძო სოფლის მეურნეობა.

— კრედიტის თანხა 7,0 მლნ გერმანული მარკა (3,89 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1994-2004 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2004-2034 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

— საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

2) გერმანიის მეორე კრედიტი თანხით 13,0 მლნ გერმანული მარკა, წარმოიშვა 1995 წლის 23 მაისს, ქ.მაინის ფრანკფურტში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულებით. მისი მიზნობრიობა იყო გარდაბნის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეების ამოქმედება და მასზე გაწეული საავალუტო დანახარჯების ანაზღაურება.

— კრედიტის თანხა 13,0 მლნ გერმანული მარკა (7,228 მლნ აშშ დოლარი);

— თორმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2008 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2036 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

— საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

3) გერმანიის მესამე კრედიტი თანხით 10,9 მლნ

გერმანული მარკა, წარმოიშვა 1994 წლის 18 თებერვალს, ქ.თბილისში საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროსა და გერმანიის ფირმა "სიმენს"-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზნობრიობაა თბილისსა და ქუთაისში საკომუნიკაციო სატელეფონო სადგურების დამონტაჟება და ექსპლოატაციაში შეყვანა.

- კრედიტის თანხა 10,9 მლნ გერმანული მარკა (6,06 მლნ აშშ დოლარი);
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1996-2007 წლები;
- საპროცენტო განაკვეთი წლიური 7,25%.

4) გერმანიის მეოთხე კრედიტი თანხით 40,0 მლნ გერმანული მარკა წარმოიშვა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულებასა (KFW) და ეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის რეალიზატორია საქენერგო.

- კრედიტის თანხა 40,0 მლნ გერმანული მარკა (22,24 მლნ აშშ დოლარი);
- თორმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2008 წლები;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2008-2036 წლები;
- საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;
- საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

5) გერმანიის მეხუთე კრედიტი. წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულებასა (KFW) და ეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის რეალიზატორია საქენერგო. კრედიტის მიზნობრიობაა გარდაბნის მეცხრე ბლოკის აღდგენა. სახელმწიფო კრედიტად გაფორმდა 1995 წლის 29 მაისს ქ.თბილისში შემდეგი პირობებით:

- კრედიტის თანხა 20,0 მლნ გერმანული მარკა (11,12 მლნ აშშ დოლარი);
- თერთმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2007 წლები;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2036 წლები;
- საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;
- საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

6) გერმანიის მეექვსე კრედიტი. წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულებასა (KFW) და ეროვნულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამის რეალიზატორია საქენერგო. კრედიტის მიზნობრიობაა გარდაბნის მეცხრე ბლოკის აღდგენა. სახელმწიფო კრედიტად გაფორმდა 1996 წლის 26 ივნისს ქ.თბილისში შემდეგი პირობებით:

- კრედიტის თანხა 10,0 მლნ გერმანული მარკა (5,56 მლნ აშშ დოლარი);
- თერთმეტწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2007 წლები;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2036 წლები;
- საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;
- საჯარიმო საპროცენტო განაკვეთი წლიური 3%.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მესამე კრედიტი მიღებულია ფირმა "სიმენსი"-საგან, რის გამოც კომერციული სახისაა და ამიტომაც გააჩნია ცუდი პირობები და დაბალი გრანტ-ელემენტი. ხოლო როგორც ხედავთ, გერმანიის სხვა კრედიტებს, გაცემულს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულების მიერ, საკმაოდ შეღავათიანი პირობები და საქართველოს მიერ მიღებულ საერთაშორისო კრედიტებს შორის ყველაზე მაღალი გრანტ-ელემენტი გააჩნია.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან საქართველოს კრედიტის სახით მიღებული აქვს 771,9875 მლნ აშშ დოლარი.

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილია სამი კრედიტი (პირველი კრედიტი მიღებულია ორ ტრანშად). ეროვნული ბანკი ახორციელებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების ეტაპობრივ შესყიდვას, ამის გამო დღეისათვის გვაქვს შემდეგი სიტუაცია:

1) საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი კრედიტი თანხით 37,44 მლნ აშშ დოლარი წარმოიშვა საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

- კრედიტის თანხა 37,44 მლნ აშშ დოლარი;
- სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 10 წელი;
- არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

2) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე კრედიტი 37,44 მლნ აშშ დოლარი წარმოიშვა საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

- კრედიტის თანხა 37,44 მლნ აშშ დოლარი;
- სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 10 წელი;
- არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

3) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მესამე კრედიტი თანხით 29,95 მლნ აშშ დოლარი არის "STAND-BY"-ის კრედიტი (სარეზერვო კრედიტი).

- კრედიტის თანხა 29,95 მლნ აშშ დოლარი;
- სამწლიანი შეღავათიანი პერიოდი;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 10 წელი;
- არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

4) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეოთხე კრედიტი თანხით 156,91 მლნ აშშ დოლარი წარმოიშვა საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ("ESAF"). კრედიტი გამიზნულია სტრუქტურული გარდაქმნებისათვის.

- კრედიტის თანხა 37,44 მლნ აშშ დოლარი;
- შეღავათიანი პერიოდი 5,5 წელი;
- ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 10 წელი;
- საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,5%.

2. მსოფლიო ბანკიდან საქართველოს ცამეტი კრედიტი აქვს მიღებული:

1) მსოფლიო ბანკის პირველი კრედიტი თანხით 7.3 მლნ SDR წარმოიშვა 1994 წლის 11 ივლისს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული ხელშეკ-

რულებით. კრედიტის მიზნობრიობა იყო საინსტიტუციო პროექტის განხორციელება.

— კრედიტის თანხა 7,3 მლნ SDR (9,849 მლნ აშშ დოლარი);

ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1994-2004 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2004-2029 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

2) მსოფლიო ბანკის მეორე კრედიტი თანხით 12.5 მლნ SDR წარმოიშვა 1993 წლის 31 მარტს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზანია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელება.

— კრედიტის თანხა 12,5 მლნ SDR (16,866 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1994-2004 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2004-2029 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

3) მსოფლიო ბანკის მესამე კრედიტი თანხით 51 მლნ SDR წარმოიშვა 1995 წლის 31 მარტს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზნობრიობაა სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელება. დღეისათვის დავალიანება არა გვაქვს.

კრედიტის თანხა 51 მლნ SDR;

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1995-2005 წლები (68,81 მლნ აშშ დოლარი);

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2005-2030 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

4) მსოფლიო ბანკის მეოთხე კრედიტი გაფორმდა 1996 წლის 31 იანვარს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. კრედიტის თანხა შეადგენს 8,1 მლნ SDR და მიზნად ისახავს ტრანსპორტის სექტორის სტრუქტურის რეორგანიზაციას, ტრანსპორტის ქსელის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებას. კრედიტს ახორციელებს ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი, ხოლო მომხმარებლები არიან სახელმწიფო კონცერნი "ავტოგზა" და რკინიგზის დეპარტამენტი.

— კრედიტის თანხა 8,1 მლნ SDR (10,929 მლნ აშშ დოლარი);

— ათნლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2006-2030 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

5) მსოფლიო ბანკის მეხუთე კრედიტი გაფორმდა 1996 წლის 9 მაისს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 07.08.1996 წელს. საკრედიტო თანხა შეადგენს 9,7 მლნ SDR, ხოლო კრედიტის მიზნობრიობაა:

1. ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაცია;

2. სამედიცინო დაწესებულებებისა და აპარატურის რეაბილიტაცია;

3. ჯანდაცვის საფინანსო სისტემის მოდერნიზაცია;

4. ჯანდაცვისათვის კადრების მომზადება;

5. პროექტის ადმინისტრაცია.

პროექტს ახორციელებს ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო განყოფილება.

— კრედიტის თანხა 9,7 მლნ SDR (13,0877 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2006-2031 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

6) მსოფლიო ბანკის მეექვსე კრედიტი გაფორმდა 1996 წლის 26 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. კრედიტი გამიზნულია სტრუქტურული გარდაქმნების განსახორციელებლად (SAC).

— კრედიტის თანხა 41,3 მლნ SDR (55,72 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2006-2031 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

7) მსოფლიო ბანკის მეშვიდე კრედიტი გაფორმდა 1996 წლის 26 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის. კრედიტის მიზნობრიობაა სტრუქტურული გარდაქმნების პროექტის განხორციელება (SATAC).

— კრედიტის თანხა 3,3 მლნ SDR (4,45 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1996-2006 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2066-2031 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

8) მსოფლიო ბანკის მერვე კრედიტი. საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტზე საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1997 წლის 14 აპრილს.

— კრედიტის თანხა 10,4 მლნ SDR (14,03 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2007 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

— გადასახადი გამოუყენებელ თანხაზე დაწესებულია ასოციაციის მიერ და არ აღემატება 0,5%.

9) მსოფლიო ბანკის მეცხრე (ნავთობის საინსტიტუციო განვითარების) კრედიტი. გაფორმდა 1997 წლის 14 აპრილს მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის. კრედიტი ითვალისწინებს თბილსრესისათვის საწვავის ყიდვას, საკონსულტაციო მომსახურებასა და სხვა სამუშაოებს.

— კრედიტის თანხა 1,0 მლნ SDR (1,349 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2007 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

9) მსოფლიო ბანკის მეათე (ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციის) კრედიტი. გაფორმდა 1997 წლის 19 ივნისს საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის. კრედიტის თანხაა 37,7 მლნ SDR.

გამოყენების მიზანი: თავის მხრივ საქართველოს მთავრობა (ფინანსთა სამინისტროს სახით) აღნიშნულ კრედიტს ქვესესხის სახით გადასცემს თბილსრესს 20 წლიანი ვადით, 3 წლიანი შეღავათიანი პერიოდით და 2,5% წლიური საპროცენტო გადასახადით.

— აღნიშნული თანხიდან 15 მლნ აშშ დოლარი განკუთვნილია თხევადი გაზის შესასყიდად. აქედან 10 მლნ აშშ დოლარი გასულ ზამთარს დაიხარჯა, ხოლო დარჩენილი 5 მლნ აშშ დოლარით მომავალი ზამთრისათვის სათბობის მარაგის შექმნაა ნავარაუდევი. რაც შეეხება კრედიტის დარჩენილ თანხებს (37,3 მლნ აშშ დოლარი), ისინი განკუთვნილია უშუალოდ ენერგოსისტემის რეაბილიტაციისათვის. კერძოდ, გარდაბნის ელექტროსადგურის მე-10 ენერგობლოკის რეაბილიტაციისათვის;

— პროექტის დამფინანსებელია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) 30,0 მლნ გერმანული მარკის ოდენობით.

— კრედიტის თანხაა 37,7 მლნ SDR (50,867 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი, 1997-2007 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

— მომსახურების საპროცენტო განაკვეთი 0,75%.

11) მსოფლიო ბანკის მეთერთმეტე (SAC-2) კრედიტი. 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა განვითარების კრედიტის ხელშეკრულება სტრუქტურული გარდაქმნების მეორე კრედიტზე (SAC-2).

კრედიტის ძირითად მიზანს შეადგენს უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიღწეული სტაბილიზაციის კონსოლიდირება და მიმართულია ეკონომიკური გამოცოცხლების მხარდასაჭერად.

სტრუქტურული გარდაქმნების რეფორმის პროგრამა მიზნად ისახავს სახელმწიფო ფინანსური სისტემის გაძლიერებას წინდახედული მონეტარული პოლიტიკის განხორციელებით, კერძო სექტორის განვითარებას, სიღარიბის შემცირებას. რეფორმის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის არის აგრეთვე: პრივატიზაციის დაჩქარება, კაპიტალის ბაზრის განვითარება, ენერგეტიკის სექტორში ფინანსური დისციპლინის გამოსწორება, საბანკო სექტორის რესტრუქტურიზაცია და სხვა.

— კრედიტის თანხა 44,2 მლნ SDR (59,637 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

12) მსოფლიო ბანკის მეთორმეტე (SATAC-2) კრედიტი. 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა განვითარების კრედიტის ხელშეკრულება სტრუქტურული გარდაქმნების ტექნიკური დახმარების მეორე პროექტზე (SATAC-2).

კრედიტის ძირითად მიზანს შეადგენს უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიღწეული სტაბილიზაციის კონსოლიდირება და მიმართულია ეკონომიკური გამოცოცხლების მხარდასაჭერად.

— კრედიტის თანხა 3,7 მლნ SDR (4,99 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2032 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

13) მსოფლიო ბანკის მეცამეტე (მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის) კრედიტი. 1997 წლის 15 სექტემბერს ვაშინგტონში საქართველოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელმოწერილ იქნა მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის კრედიტის ხელშეკრულება.

— კრედიტის თანხა 15,1 მლნ SDR (20,374 მლნ აშშ დოლარი);

— ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2027 წლები;

— საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;

— საპროცენტო განაკვეთი აუთვისებელ თანხაზე წლიური 0,5%.

3. ევროგაერთიანებიდან მიღებულია სამი კრედიტი — 120 მლნ ეკიუს ოდენობით.

1) ევროგაერთიანების პირველი კრედიტი თანხით 70 მლნ ეკიუ წარმოიშვა ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტი გაფორმდა 1992 წლის 24 ივლისს ქ.ბრიუსელში და მისი მიზნობრიობა იყო საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენა.

მემორანდუმის თანახმად გამოყოფილი კრედიტის არანაკლებ 50%-ისა უნდა დასაქონლებულიყო ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში, ხოლო დანარჩენი თანხის დასაქონლება კი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებით იაფ ბაზარზეც შეიძლებოდა.

კრედიტის გამოყოფის მემორანდუმზე თანდართული საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად დებიტორს, ე.ი. საქართველოს უნდა მოეძებნა პარტნიორი ბანკი, რომელიც საყოველთაოდ მიღებული წესებით გაუწევდა მას მომსახურეობას, რის შემდეგაც ხელმოწერილი კონტრაქტები დამტკიცდებოდა ევროგაერთიანების ეკონომიკური საბჭოს მიერ. ასეთი აღმოჩნდა საფრანგეთის ბანკი "CREDIT LYONNAIS".

კრედიტის გამოყოფის მემორანდუმის თანახმად, საქართველოს მხრიდან კონტრაქტებში მონაწილე სუბიექტები ვალდებულნი იყვნენ ყოველი სახის საქონელზე მიეღოთ სულ ცოტა სამი შემოთავაზება, სხვადასხვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფირმებისგან და ამ შემოთავაზებიდან ყველაზე ხელსაყრელი პირობების შემცველი კონტრაქტი, დანარჩენ ორთან ერთად ხელმოწერილი სახით წარედგინათ ევროგაერთიანების სოფლის მეურნეობის კომისიისათვის ბრიუსელში.

ასეთი რთული სისტემა შემუშავებული იყო იმისათვის, რომ გამორიცხული ყოფილიყო რაიმე შეცდომა და შესაბამისად, ზარალი რომელიმე მხრიდან.

სამწუხაროდ, ჩვენს სახელმწიფო უწყებებს კრედიტის მაქსიმალურად ეფექტურად დასაქონლებისთვის თავი დიდად არ შეუწუხებიათ.

წინა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან არსებული ევროკრედიტების ათვისების მდგომარეობის შემსწავლელი ჯგუფის მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებულია ამ კრედიტის ათვისების საქმეში გამოვლენილი ჩვენი უმწეობა და არაკომპეტენტურობა, შესაბამისი სპეციალისტების მწვავე დეფიციტი. კონტრაქტების გაფორმებისას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ჩვენი დელეგაციების კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებას. აშკარა შეცდომად ჩაითვალა ისიც, რომ პასუხისმგებლობა კრედიტების ათვისებაზე გადანაწილდა სხვადასხვა სამინისტროებზე და არა ერთ რომელიმე სახელმწიფო ორგანოზე. კონტრაქტების გაფორმებისას არ იყო გათვალისწინებული შესასყიდი პროდუქტების ფასის სეზონური ცვლილებები, არ იყო ინფორმაციები ანალოგიურ პროდუქციაზე მსოფლიო ფასების შესახებ და მრავალი სხვა.

კრედიტის თანხა 70 მლნ ეკიუ (76,902 მლნ აშშ დოლარი);

— შეღავათიანი პერიოდი 1992-1995 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვა ერთდროულად 1995 წლის 21 აგვისტოს;

2) ევროგაერთიანების მეორე კრედიტი თანხით 10 მლნ ეკიუ წარმოიშვა 1993 წლის 5 მაისს ქ.ბრიუსელში ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზნობრიობა იყო საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენა.

კრედიტის მომხმარებლებია:

1. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის კორპორაცია.

2. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

— კრედიტის თანხა 10 მლნ ეკიუ (10,986 მლნ აშშ დოლარი);

— შეღავათიანი პერიოდი 1993-1996 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვა ერთდროულად 1996 წლის 15 იანვარს;

3) ევროგაერთიანების მესამე კრედიტი თანხით 40 მლნ ეკიუ წარმოიშვა 1993 წლის 12 ივნისს ქ.ბრიუსელში ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით. კრედიტის მიზნობრიობა იყო საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენა.

კრედიტის მომხმარებლებია:

1. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაცია.

2. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო.

3. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

— კრედიტის თანხა 40 მლნ ეკიუ (43,944 მლნ აშშ დოლარი);

— შეღავათიანი პერიოდი 1993-1997 წლები;

— ძირითადი ვალის დაფარვა ერთდროულად 1997 წლის 15 იანვარს.

ევროკავშირიდან აღებული სამივე კრედიტის მიხედვით ძირითადი და საპროცენტო ვალის გადაუხდელობით 05.12.1997 წლის მდგომარეობით საქართველოს ევროკავშირისადმი დაუგროვდა დავალიანება 127,4 მლნ ეკიუს ოდენობით (საქართველოს მიერ 25.09.1996 წელს და 27.03.1997 წელს დაფარული საპროცენტო ვალის 14 მლნ ეკიუს გათვალისწინებით).

ევროკავშირსა და საქართველოს შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს დავალიანების პრობლემის გადაწყვეტის ასეთი ფინანსური სქემა (რომელიც ასახულია ურთიერთგაგების მემორანდუმსა და სესხის ხელშეკრულებაში):

1. საქართველო დაფარავს ევროგაერთიანებისადმი არსებულ მთლიან დავალიანებას 127,4 მლნ ეკიუს ოდენობით.

2. ევროგაერთიანება გამოუყოფს საქართველოს ახალ სესხს 110 მლნ ეკიუს ოდენობით და გრანტს 55 მლნ ეკიუს ოდენობით.

ევროგაერთიანების ახალი სესხი საქართველოს გამოეყოფა შემდეგი პირობებით:

— კრედიტის თანხა 110 მლნ ეკიუ 9120,846 მლნ აშშ დოლარი);

— შეღავათიანი პერიოდი 10 წელი;

— ძირითადი ვალის დაფარვის ვადა 5 წელი;

— საპროცენტო განაკვეთი — ცვალებადი (LIBOR) ეკიუსათვის (რაც დღეისათვის შეადგენს დაახლოებით 4,5%).

ახალი სესხის თანხას 110 მლნ ეკიუს ოდენობით საქართველო მიიღებს ერთჯერადი გადახდით 1998 წლის განმავლობაში ძველი დავალიანების დაფარვის შემდგომ.

გამოყოფილი გრანტის თანხებს 55 მლნ ეკიუს ოდენობით საქართველო მიიღებს შემდეგი გრაფიკით:

1. გრანტის პირველ ტრანშს 10 მლნ ეკიუს ოდენობით მიიღებს 1998 წლის განმავლობაში ძველი დავალიანების დაფარვის შემდეგ.

2. გრანტის მომდევნო ტრანშებს — მომდევნო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად დაწყებული 1998 წლიდან — 9 მლნ ეკიუს ოდენობით.

ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით ყოველი მომდევნო ტრანშის (9 მლნ ეკიუს ოდენობით) მისაღებად საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს გაფართოებული სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამის (ESAF) მოთხოვნები და ყოველი მომდევნო 5 წლის განმავლობაში უნდა დაფაროს ევროგაერთიანების ახალი სესხის ძირითადი ვალი შემდეგი გრაფიკით:

– 10 მლნ ეკიუ 1998 წელს;
– 11 მლნ ეკიუ 1999 წელს;
– 13 მლნ ეკიუ 2000 წელს;
13 მლნ ეკიუ 2001 წელს;
13 მლნ ეკიუ 2002 წელს.

როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, საქართველოს მიერ ყოველწლიურად დაფარული ახალი სესხის ძირითადი ვალი ნაწილობრივ კომპენსირებული იქნება ევროგაერთიანებიდან მიღებული გრანტის ტრანშებით. აქედან გამომდინარე, სხვაობა საქართველოს მიერ დაფარული ახალი სესხის ძირითად ვალსა და ევროგაერთიანების მიერ გამოყოფილ გრანტის ტრანშებს შორის უნდა დაიფაროს საქართველოს საკუთარი წყაროებიდან (ბიუჯეტიდან), კერძოდ:

– 1 მლნ ეკიუ 1998 წელს;
2 მლნ ეკიუ 1999 წელს;
4 მლნ ეკიუ 2000 წელს;
4 მლნ ეკიუ 2001 წელს;
– 4 მლნ ეკიუ 2002 წელს.

4. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან საქართველოს მიღებული აქვს სამი კრედიტი:

1) პირველი კრედიტი 18.1 მლნ აშშ დოლარის ოდენობით წარმოიშვა 1994 წლის 19 დეკემბერს, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკსა და საქენერგოს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

კრედიტის მიზნობრიობაა რიონისა და გარდაბნის ჰიდროელექტროსადგურის მოდერნიზაცია.

კრედიტის თანხა 18,1 მლნ აშშ დოლარი;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1998-2009 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 7,2%. საკომისიო 1%.

2) მეორე კრედიტი 11 მლნ აშშ დოლარის ოდენობით წარმოიშვა 1995 წლის 13 ივლისს, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკსა და სააქციო საზოგადოება "თბილისის აეროპორტს" შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

კრედიტის მიზნობრიობაა თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქცია.

კრედიტის თანხა 11 მლნ აშშ დოლარი;

ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 1998-2005 წლები;

საპროცენტო განაკვეთი წლიური 6,59%. საკომისიო პირველ ტრანშზე 0,5% და მეორე ტრანშზე 1%.

3) მესამე კრედიტი (ერგბ-ს საკრედიტო ხაზი) 12 მლნ აშშ დოლარის ოდენობით ხელმოწერილ იქნა 1996 წლის 12 დეკემბერს.

კრედიტის მიზნობრიობა იყო მცირე ბიზნესის განვითარება, მაგრამ ფაქტიურად საბანკო სფეროს დახმარება გამოვიდა.

კრედიტის მომხმარებლები (კრედიტის მიღების თარიღის შესაბამისად):

1996 წლის 12 დეკემბერი:
თბილკრედიტბანკი – 3 000 000 აშშ დოლარი;
თბილკომბანკი 2 000 000 აშშ დოლარი;
ტი-ბი-სი – 3 000 000 აშშ დოლარი;
1997 წლის 18 მარტი:
– თბილუნივერსალბანკი – 1 000 000 აშშ დოლარი;
1997 წლის 11 ნოემბერი:
– ინტელეკტბანკი – 2 000 000 აშშ დოლარი.

– კრედიტის თანხა 12 მლნ აშშ დოლარი;
– ვალდებულების გადასახადი 0,5%;
– საპროცენტო განაკვეთი წლიური – LIBOR+1;
– ფინანსური სექტორის დახმარება 3,5%;
– საგარანტიო გადასახადი: ფინანსთა სამინისტროს მონიტორინგის – 1%;
– ეროვნულ ბანკს 0,5%;
– ერთჯერადი საკომისიო ძირითადი თანხის 1%;
– ძირითადი ვალის დაფარვა – 14 თანაბარ ნაწილად (ნახევარწლიურად) ანუ 7 წელში;
– შეღავათიანი პერიოდი – 2,5 წელი (ეფექტურობის თარიღიდან იწყება ათვლა);
– ათვისება ხდება მაქსიმუმ 2 წელი ათვისების დაწყებიდან 6 თვის შემდეგ იწყება დაფარვა.

ამ კრედიტების გარდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ხელმოწერილია ორი საკრედიტო ხელშეკრულება "მწვანე ბაზარი" თანხით 8,10 მლნ აშშ დოლარი და "მწვანე ბაზარი" – სარეზერვო თანხით 1,50 მლნ აშშ დოლარი. მაგრამ ეს ხელშეკრულებები არ არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

5. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) კრედიტი. საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტზე სასესხო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1997 წლის 15 მაისს.

– კრედიტის თანხა 4,7 მლნ SDR;
– ათწლიანი შეღავათიანი პერიოდი 1997-2007 წლები;
– ძირითადი ვალის დაფარვის პერიოდი 2007-2037 წლები;
– საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%;
– მომსახურების საპროცენტო განაკვეთი წლიური 0,75%.

საქართველო ასამდე საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს და მათი წევრია. უახლოეს პერიოდში უნდა გაწევრიანდეს კიდევ რვა ორგანიზაციაში. მათში გასაწევრიანებლად საჭიროა შესაბამისი საწევრო შენატანები. (იხ. ცხრილი N2)

საქართველოს ფინანსური ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ნაწილში 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 30 317 018 აშშ დოლარს.

საქართველოს ფინანსური ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ნაწილში მოცემულია ცხრილში N2, რომელიც შედგენილია ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საერთოდ საკითხავია, საჭიროა თუ არა ამდენი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა.

(ცხრილი N2)

საქართველოს ფინანსური ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ნაწილში

თანხები მოცემულია აშშ დოლარებში 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

საერთაშორისო ორგანიზაციის დასახელება	დავალიანება 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1998 წლის საპროგნოზო გადასახდელები
სულ	30 317 018	10 847 954
გაერო და მისი სტრუქტურები		
1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია	6 513 915	1 500 000
2. გაეროს ეკოლოგიური პროგრამა-კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებათა შესახებ	23 177	12 000
3. ოზონდამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის ფონდი 109 589		
4. ოზონის შრის დაცვის შესახებ მონრეალის ოქმის სატრასტო ფონდი	1 764	
5. ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენციის სატრასტო ფონდი	914	
6. ტრანსეროვნული საავტომობილო მაგისტრალის პროექტი	7 500	7 500
7. ტრანსეროვნული სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი	10 500	10 500
გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები		
1 რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი		
2 საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	1 600 000	
3 გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია	1 253 387	150 000
4 გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია	2 806 413	170 000
5 იუნესკოსთან არსებული მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი		22 000
6 ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო	478 029	231 784
7 გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია	548 730	185 000
8 ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის მოსამზ. კომისია	1 000	1 000
9 ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია	179 128	
10 სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	168 000	48 000
11 სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	10 000	10 000
12 ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია		12 000
13 საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია	26 039	20 000
14 საერთაშორისო შრომის ოფისი	1 719 664	350 000
15 მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია	408 275	125 000
16 კონვენცია კლიმატის ჩარჩო	22 656	22 500
17 მსოფლიო საფოსტო კავშირი	152 500	30 000
18 მსოფლიო საფოსტო კავშირის რუსული ლინგვისტ ჯგუფი	12 832	4 000
19 საერთაშორისო ელექტროკავშირი	264 240	72 000
20 ინტოსაი და ევროსაი	2 930	3 000
სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები		
1 გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე	13 050	13 000
2 მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია	19 946	13 200
3 მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია	142 356	33 000
4 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია	3 791 480	470 000
5 საერთაშორისო საზღვაო თანამგზავრული ორგანიზაცია	234 896	117 500
6 სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია	31 820	15 910
7 კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია	24 867	30 000
8 საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირი	200 000	50 000
9 მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ორგანიზაცია	20 672	12 000
10 ეპიზოტიის საერთაშორისო ორგანიზაცია	11 040	10 000
11 საერთაშორისო დიპლომატიური აკადემია	3 854	3 900
12 მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია	33 229	
13 ბირთვული გამოცდილების აკრძალვის ხელშეკრულების მოსამზადებელი კომისია	31 171	
14 საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი		3 192
დსთ და მისი სტრუქტურები		
1 დსთ აღმასრულებელი სამდივნო	360 000	90 000
2 ეკონომიკური კავშირის ეკონომიკური კომიტეტი	450 594	304 049
3 სტატისტიკური კომიტეტი	69 800	1 766 596
4 ქვანახშირისა და მეტალის ევრაზიული გაერთიანება	76 257	22 500
5 მანქანათმშენებლობის დარგში თანამშრომლობის საბჭო	24 072	12 000
6 კოლექტიური უსაფრთხოების საბჭო	39 612	75 197
7 თავდაცვის მინისტრების საბჭო	700 600	380 000
8 სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელთა საბჭო	80 800	80 000
9 ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკოორდინაციო ბიურო	75 900	55 000
10 საგრანსპორტო საკოორდინაციო თათბირი	5 040	5 000
11 დსთ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საკოორდინაციო საბჭო		
12 სახელმწიფოთაშორისი საინფორმაციო საბჭო	4 120	4 200
13 სახელმწიფოთაშორისი ეკოლოგიური საბჭო	15 411	15 400
14 სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის საბჭო	5 000	5 000
15 სახელმწიფოთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო	3 600	3 600

16 კერძო სამართლის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრი	60 379	60 000
17 ტელერადიოკომპანია "მირ"-ის სახელმწიფოთაშორისი საკოორდინაციო საბჭო	424 700	425 000
18 მებრძოლ-ინტერნაციონალისტთა საქმეების კომიტეტი	10 472	10 500
19 გეოდეზიის, კარტოგრაფიის, მიწის კადასტრისა და დისტანციური ზონდირების საბჭო	12 724	12 700
20 ბუნებრივი და ტექნიკური ხასიათის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფოთაშორისი საბჭო	17 357	17 400
21 ნავთობისა და გაზის სამთავრობათაშორისი საბჭო	7 700	7 700
22 ქიმიისა და ნავთობქიმიის დარგში თანამშრომლობის საბჭო	10 940	11 000
23 ელექტროენერგეტიკული საბჭო	47 350	47 500
24 ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფოთაშორისი საბჭო	8 132	8 100
25 ავიაციისა და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენების საბჭო	106 944	107 000
26 სახელმწიფოთაშორისი საავიაციო კომიტეტი	82 053	
27 სამთავრობათაშორისი საფელდეგერო კავშირგაბმულობა	1 020	1 000
28 წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის სამთავრობათაშორისი საბჭო	60 526	60 500
29 დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბი	588 315	263 409
30 ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთაშორისო საბჭო	400	500
31 საპარლამენტთაშორისო ასამბლეა	194 510	123 917
32 ტელერადიოკომპანია "მირ"	300 000	300 000
რეგიონალური ორგანიზაციები		
1 ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია	361 740	
2 ევროპის საბჭოსთან არსებული ბუნებრივი და საწარმოო კატასტროფების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის თანამშრომლობის ჯგუფი	4 261	5 000
3 შავი ზღვის ეკონომიკური კორპორაცია	28 538	700 000
4 შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი	2 800 000	
5 შავი ზღვის დაცვის პროგრამა (შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის ბუქარესტის კონვენცია)	38 600	
6 შავი ზღვის რეგიონის არქიტექტორთა ფორუმი	9 200	9 200
7 ევროპის ენერგეტიკული ქარტია	20 680	6 500
8 რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	2 567 422	
საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წევრიცაა საქართველო, მაგრამ დავალიანების შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს		
1 გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია		
2 გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა		
3 გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის		
4 მსოფლიო სასურსათო პროგრამა		
5 საერთაშორისო სავალუტო ფონდი		
6 განვითარების საერთაშორისო ასოციაცია		
7 მრავალმხრივი ინვესტირების საგარანტიო სააგენტო		
8 გაეროს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი		
9 გაეროს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კონტროლის საერთაშორისო პროგრამა		
10 მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია		
11 ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია		
12 ევროპის ფეხბურთის ასოციაციების გაერთიანება		
13 საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი		
14 საერთაშორისო საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია		
15 დსთ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხთა საკოორდინაციო კომიტეტი		
16 დსთ ეკონომიკური სასამართლო		
17 ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო		
18 თანამგზავრული ელექტროკავშირგაბმულობის ევროპული ორგანიზაცია		
19 "ღია ზღვაში საერთაშორისო დაცვის ხელშეწყობისა და თევზსაჭერი გემების მართვის ზომების გავრცელების შესახებ" გაეროს შეთანხმება		
20 საბაჟო თანამშრომლობის საბჭო		
საერთაშორისო ორგანიზაციები, სადაც უახლოეს მომავალში მოსალოდნელია საქართველოს გაწევრიანება		
1. შაქრისა და ხორბლის ლონდონის ორგანიზაციები		სავარაუდო გადასახადი 8 437
2. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია		8 357
3. სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი		1 500
4. კონვენცია "ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო აყვანის მიმართ თანამშრომლობის შესახებ"		
5. კონვენცია "ბავშვთა დაცვის საშუალებებისა და მშობელთა პასუხისმგებლობის დარგში იურისდიქციის, გამოყენებული კანონების, აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ"		
6. საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენცია		3 794
7. ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენცია		
8. კურორტების საერთაშორისო ფედერაცია — ფიტეკი		3 060

შენიშვნა: მონაცემები ჩვენი ფინანსური ვალდებულებების შესახებ აღებულია ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.
იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა დოკუმენტებით მიღებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, ზემოთ მოტანილი მონაცემები დაზუსტებას საჭიროებს.
თანხების გაანგარიშებისას გასათვალისწინებელია ცდომილებები, რომლებიც წარმოიშვება სხვადასხვა ვალუტებიდან აშშ დოლარში გადაყვანისას.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ვხედავთ, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. კრედიტები გაიცემოდა მთავრობის წევრებისა და სხვათა მიერ ზეპირი და წერილობითი მითითებების შესაბამისად. კრედიტების განაწილება ორგანიზაციებზე, მათი რატიფიკაციის შემდეგ, უნდა მომხდარიყო შესაბამისი კონკურსის ჩატარების საფუძველზე. დეტალურად უნდა ყოფილიყო შესწავლილი კრედიტის მიმღები ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა, უნდა გაანალიზებულიყო მათი ბოლო პერიოდის ბალანსები და ეკონომიკური მაჩვენებლები. დაუშვებელი უნდა ყოფილიყო ერთი ორგანიზაციისათვის მოკლე პერიოდის მანძილზე ერთიდაიგივე მიზნისათვის ორი ან მეტი სახელმწიფო კრედიტის გაცემა. და საერთოდ მიუღებელია სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტების ორგანიზაციებზე გადაცემა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ 1997 წელს მიღებულ იქნა ახალი საკრედიტო ხაზი, რომელიც გაცემულია კომერციულ ბანკებზე ეროვნული ბანკის კონტროლის ქვეშ. კრედიტის მიზნობრივი ხარჯვისა და მისი დაფარვის მექანიზმის უკეთ ამუშავებისათვის მომსახურე ბანკების მხრიდან მიღებული უნდა იქნას მკაცრი ზომები, რადგან როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს თურქეთის კრედიტზე ორგანიზაციები, რომელსაც დავალიანება გააჩნია, არხეინად განაგრძობს თავის საქმიანობას და საკმაოდ სოლიდური ამონაგების პირობებში თავს არ იწუხებს კრედიტის დაფარვით.

ამ მოხსენების განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს გააჩნია პრეტენზიები სავალო ვალდებულებებზე ყოფილი სსრკ-ს ზოგიერთ ქვეყნის მიმართ. ამ დავალიანებების განხილვა აუცილებელია საქართველოს მიერ, მათზე ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვადასხვა დონის ოფიციალურ შეხვედრებზე, რომლებიც შედგება ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან.

საქართველოს პრეტენზიები გააჩნია შემდეგი ქვეყნების მიმართ:

- აზერბაიჯანი;
- რუსეთი;
- სომხეთი;
- ყაზახეთი.

სომხეთის დავალიანებასთან დაკავშირებით საქართველოს მათდამი დავალიანების რესტრუქტურიზაციის მოლაპარაკების დროს მხარეებმა ცალკე ოქმით დაადასტურეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთდავალიანების შესწავლის აუცილებლობა. ამ მიზნით შეიქმნა ერთობლივი კომისია. ფინანსთა სამინისტროს წინასწარი შეფასებით სომხეთის მხარის დავალიანებები ჩვენი ორგანიზაცია-დაწესებულებების მიმართ (საქგაზი, საქტრანსგაზი, საქენერგო და სხვა) შეადგენს დაახლოებით იგივე თანხას, რამდენიც საქართველოს ვალდებულების რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით არის განსაზღვრული. მას შემდეგ, რაც ერთობლივი კომისია განსაზღვრავს და შეათანხმებს სომხეთის მხარის დავალიანებას საქართველოსადმი, ფინანსთა სამინისტრო დასვამს საკითხს რესტრუქტურირებული თანხის კორექტირების (ნაწილობრივ ან მთლიანად გაბათილების) თაობაზე.

რუსეთის დავალიანებებთან დაკავშირებით გაგვაჩნია ზოგიერთი ინფორმაცია, რომელიც არ იყო გათვალისწინებული რუსეთის კრედიტის რესტრუქტურიზაციის დროს.

სააქციო საზოგადოება რუსეთის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის "Росгосстрах"-ის ვიცე პრეზიდენტის ნ.ფ. გალაგუზას 1993 წლის 26 თებერვლის წერილით ირკვევა, რომ კომპანიას, რომელიც სსრკ-ს სახდაზღვევის მემკვიდრედ გვევლინება, აქვს საქართველოს სადაზღვევო კომპანიის დავალიანება, რომელიც 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 167 933 034 რუსულ რუბლს შეადგენს. თუ მაშინდელი კურსით ვიანგარიშებთ, ერთი დოლარი დაახლოებით 167 რუბლს შეადგენდა. ე.ი. დავალიანება მაშინდელი მდგომარეობით დაახლოებით 1 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ 1992 წლიდან ამ თანხას პროცენტი არ ერიცხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ოფიციალური მიმოწერა, მაგრამ შედეგი დღემდე გაურკვეველია.

მეორე შემთხვევაში, როგორც 1994 წლის 1 ნოემბრის თბილისის "საგარეო ეკონომიკური ბანკის"რეგიონალური განყოფილების ანგარიშსწორებისა და ოპერაციების შედარების აქტით ირკვევა რუსეთის ამავე ბანკის დავალიანება 14,336 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსადმი დავალიანებებს საპროცენტო თანხები არ ერიცხება, რადგან არ არის ოფიციალურად გაფორმებული. მოლაპარაკებების დროს აუცილებელია განხილულ იქნას ეს საკითხები. ეს თანხები დარიცხულ უნდა იქნას დავალიანებებზე ან კომპენსირებულ იქნას საქართველოს გადასახდელებში, რათა ადგილი არ ჰქონდეს თანხების დაკარგვას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მხარე იხდის დავალიანებებზე საპროცენტო თანხებს, ხოლო სხვა ქვეყნები კი ამაზე თავს არ იწუხებენ.

საქართველოს საგარეო ვალების მართვის გზები

საქართველოს მიერ ცივილიზირებული ქვეყნის იმიჯის შეძენა და მისი საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება, რაც პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში არსებული ლეგიტიმურობის დონეს, გარდა წმინდა მორალური ეფექტისა, ატარებს გამოკვეთილ ეკონომიკურ შინაარსსაც.

ვინაიდან საქართველოში ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ბევრადაა დამოკიდებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩვენი ქვეყნის საიმედო ცივილიზებულ სახელმწიფოდ მიჩნევა სტიმულს აძლევს საქართველოს ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის დაბანდებას.

საგარეო ვალის პრობლემა - მსოფლიო პრაქტიკაში კარგად ცნობილი მოვლენაა. დავალიანების მსოფლიო კრიზისმა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში, საშუალება მისცა დაგროვებულიყო მნიშვნელოვანი გამოცდილება სავალო ვალდებულებების მართვის სფეროში, რომლებმაც საერთაშორისო ხასიათი მიიღეს და შეიძლება ასევე ეფექტურად იყოს გამოყენებული ჩვენს ქვეყანაში.

საგარეო სესხები გამოყენებული უნდა იქნას იმისათვის, რომ უზრუნველყონ ეკონომიკის ზრდის მა-

ღალი და სტაბილური ტემპები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ასევე საგადამხდელო ბალანსის მდგრადი მდგომარეობა. ამისათვის საჭიროა, რომ მიღებულმა სესხებმა, ეკონომიკური პოლიტიკის სხვა აუცილებელ ღონისძიებებთან ერთად, მომავალში უზრუნველყონ რეალური უცხოური საშუალებების საკმაოდ დიდი დინება. ასე რომ, ძირითადი მიზანი საგარეო დავალიანებების მართვის ღონისძიებებისა მდგომარეობს შემდეგში — ქვეყნის საგარეო ვალდებულებების ზრდამ არ უნდა გაასწროს დავალიანების მომსახურების შესაძლებლობას.

სახელმწიფო საგარეო ვალის მიმართ განისაზღვრება მისი მომსახურების კოეფიციენტი. ის წარმოადგენს დამოკიდებულებას დავალიანების ყველა გადასახდელებსა და საქონლისა და მომსახურების ექსპორტით ქვეყანაში სავალუტო შემოსავლებს შორის, გამოსახული პროცენტებში. სახელმწიფო ვალის მომსახურების კოეფიციენტის უსაფრთხო დონედ მიღებულია 25%.

1997 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალების მომსახურებამ ექსპორტთან შედარებით შეადგინა 27,46%.

დინამიკაში ამ მაჩვენებელმა შემდეგი სახე მიიღო (იხ. გრაფიკი N3).

1992 წლისათვის, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს დავალიანებები უმნიშვნელო იყო, მომსახურების კოეფიციენტმა შეადგინა 0,7%. შემდეგი პერიოდისათვის გადასახდელები სწრაფად იზრდებოდა და უკვე 1996 წლისათვის 69% მიაღწია. ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული რესტრუქტურიზაციის შემდეგ 1997 წლისათვის უკვე საერთაშორისო ვალდებულებებზე მომსახურების კოეფიციენტი 27,46%-მდე დაეცა. კარგია ტენდენცია, რომ მომსახურების კოეფიციენტი 25%-ისაკენ ისწრაფვის; მაგრამ ისევ უნდა ვთქვათ ისიც, რომ თუ არ იქნება გადავადებული თურქმენეთის ვალის ძირითადი თანხის გადახდა, 1998 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ გაიზრდება.

საგარეო კრედიტების ეფექტურად გამოყენება აუცილებელი პირობაა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად. კრიზისული სიტუაცია მაშინ დგება, როდესაც საგარეო კრედიტების დიდი ნაწილი გამოიყენება არასაწარმოო საქმიანობისა და საგადამხდელო ბალანსის მუდმივი დეფიციტის დასაფინანსებლად.

რესტრუქტურირების მიმართულებით აღსანიშნავია 1997 წელსა და 1998 წლის დასაწყისში საქართველოს დავალიანებათა რესტრუქტურირება.

საკმაოდ მძიმე ტვირთია დავალიანება ევროგაერთიანებისადმი, რომელიც შეადგენს 127,4 მლნ ეკიუს, აღნიშნული პრობლემის გზების გამონახვაზე იყო ლაპარაკი ევროგაერთიანების დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს 1997 წლის სექტემბერში. მთავარი, რაც იქნა გათვალისწინებული აღნიშნული დავალიანების რესტრუქტურირების პარამეტრების დადგენისას, არის საქართველოს ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობები.

დღესდღეობით რესტრუქტურირებულია საქართველოს საგარეო ვალების უმეტესი ნაწილი. ამის გამო ხდება გრანტ-ელემენტის ზრდა კომერციულ კრედიტებზეც კი. ცხრილი N1 და გრაფიკი N4 გვიჩვენებს საერთო სურათს, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს საგარეო ვალებზე ამ მაჩვენებლის მიხედვით. ყველაზე მაღალი გრანტელემენტი არის საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტებზე. მათ შორის აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (რომლის გრანტ-ელემენტია 81,80%). დაბალი გრანტ-ელემენტებია გერმანიის ("სიმენსის") მესამე (16,21%) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების კრედიტებზე, რომლებიც არიან კომერციული სახის.

ეკონომისტების აზრით, საგარეო ვალები არ წარმოადგენენ საშიშროებას ქვეყნისათვის, თუ მათი ზრდა ნაკლებია მშპ-ს ზრდაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ქვეყანა იმყოფება ეკონომიკის იმ სტადიაში, როდესაც დამატებითი კაპიტალი მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე მისი ღირებულებაა. თუკი მშპ-ს ზრდა უფრო დაბალია ახალ კრედიტებზე ეს ფაქტი იწვევს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას.

1996 წლის 1 მარტის მონაცემებით სახელმწიფო საგარეო ვალი 1,223 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. 1997 წლის 1 ივლისის მონაცემებით კი წარმოადგენდა 1,504 მლრდ აშშ დოლარს.

1998 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალი 1,625 მლრდ აშშ დოლარის ტოლია.

1997 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალის წილი მშპ-ში 25,27% ტოლია.

დინამიკაში თუ გავითვალისწინებთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის მიხედვით 2000 წლისათვის საქართველოს საგარეო ვალის წილი მშპ-ში დაახლოებით 18-20%-მდე შემცირდება.

2000 წლისათვის საქართველოს საგარეო ვალის წილი მშპ-ში დაახლოებით 18-20%-მდე შემცირდება.

საქართველო ამ მაჩვენებლით მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არის. გრაფიკი N5 გვიჩვენებს ამ შედარებას, თუმცა ეს მაჩვენებლები აღებულია 1995 წლის მონაცემებით, რომლის მიხედვით საქართველოს საგარეო ვალის წილი მშპ-ში 44% იყო. სხვასთან შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ თურქეთსა (43%) და რუსეთს (35%). საქართველოს მაჩვენებელი, როგორც ვხედავთ მცირდება, მაგრამ მაინც მაღალი რჩება.

საქართველოს საგარეო ვალის მშპ-ში მაღალი პროცენტის გამო ვალის შემდგომი ზრდა დასაშვებია მხოლოდ ძლიერი შეღავათიანი პირობებით მიღებული კრედიტების ხარჯზე. ე.ი. როგორც ზემოთ ვთქვით, არანაკლებ 5 წლის შეღავათიანი პერიოდითა და არა უმეტეს წლიური 4% საპროცენტო განაკვეთით.

ახალ კრედიტებზე გადასახდელი საპროცენტო თანხა არ უნდა აჭარბებდეს ესქპორტის ზრდის ტემ-

პებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიწვევს სავალუტო რეზერვების შემცირებას და დამატებითი ვალდებულებების წარმოშობას.

საგარეო დავალიანების დონის კონტროლისათვის მსოფლიო პრაქტიკაში შემოტანილ იქნა რამდენიმე პრაქტიკული წინადადება, მაგალითად, შეიზღუდოს დავალიანების მომსახურების საერთო მაჩვენებელი განსაზღვრულ ციფრამდე. თუმცა შესაძლებლობა შენარჩუნებული იქნას დავალიანების მომსახურების, რომელიმე განსაზღვრული მაჩვენებელი დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორიცაა: ექსპორტის პერსპექტივა, მოთხოვნილებები იმპორტში, მარაგების დონე, საგარეო ვაჭრობის შემდგომი პირობები, მომავალი საპროცენტო განაკვეთი და მოქნილობის დონე.

ოფიციალური ჭერი სესხების სიდიდეზე შეიძლება იყოს გამოსადეგარი იმ მხრივ, რომ ის უზრუნველყოფს საფინანსო დისციპლინას და იძულებულს ხდის მთავრობას მიმართოს ყურადღება მაკროეკონომიკის ხელმძღვანელობაზე.

სახელმწიფოს მიერ საგარეო კრედიტების შეზღუდვამ შეიძლება იმოქმედოს კერძო სექტორზე. რადგან მთავრობის მხრიდან სესხების შიდა ბაზარზე აღების შედეგად, კერძო სექტორი იძულებულია აიღოს სესხები უცხოეთიდან და ხშირად უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით და მოკლე ვადით, ვიდრე მთავრობას შეეძლო მიეღო.

როგორც ცნობილია, საქართველოში მთავრობა ფინანსური წლის დასაწყისში ადგენს ახალი საგარეო სესხების აბსოლუტურ მაჩვენებელს.

1998 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია, რომ ახალი საერთაშორისო ვალდებულებები არ გადააჭარბებენ 200 მლნ ლარს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ არ მოხდება თურქმენეთის კრედიტზე შეღავათიანი პერიოდის გაგრძელება თუნდაც ერთი წლით, უკვე 1998 წელს ძირითადი ვალის ანგარიშში გადასახდელი გვექნება 78,713 მლნ აშშ დოლარი.

ცხრილში N3 მოცემულია გადასახდელები საქართველოს საგარეო ვალებზე წლების. მიხედვით, სადაც ნათლად ჩანს, რომ დღეისათვის არსებულ ვალებზე გადასახდელები 2002 წლამდე იზრდება, შემდეგ კი სწრაფად ეცემა. ეს განპირობებულია იმით, რომ 1998 წლიდან 2002 წლამდე ვიხდით ძირითად თანხას თურქმენეთის კრედიტზე. 2006 წელს მთავრდება რუსეთის კრედიტზე გადასახდელები. ამის შემდეგ კი ძირითადად გვრჩება საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტებზე გადასახდელები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცხრილში არ არის შეტანილი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროგაერთიანების კრედიტები. ამ უკანასკნელზე, როგორც ქვემოთ ვთქვით, წელს უნდა მივიღოთ ახალი კრედიტი, თუკი დავფარავთ ძველ დავალიანებას. ამის გამო წელს ამ კრედიტის ანგარიშში გადასახდელი გვაქვს დაახლოებით 127,4 მლნ ეკიუ.

თუ ახალი სესხები მიღებული იქნება ისეთივე პირობებით, როგორც აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტებს, მაშინ 2006 წლიდან გადასახდელები არცთუ ისე დიდი იქნება. ყველაზე მძიმე პერიოდი საქართველოს ყოველწლიური გადასახდელების მხრივ აქვს თურქმენეთის ვალის დაფარვამდე, რადგანაც ასეთი მაღალი კრედიტის შემთხვევაში გვაქვს ძირითადი თანხის დაფარვის მოკლე პერიოდი და ამიტომაც ყოველწლიური გადასახდელები დიდია.

საქართველოს საგარეო ვალების მომსახურების გადასახდელებში მძიმე პერიოდი აქვს 1998-2002 წწ. 2002 წლამდე ვიხდით ძირითად თანხას თურქმენეთის კრედიტზე. 2006 წელს კი მთავრდება რუსეთის კრედიტზე გადასახდელები.

საგარეო კრედიტებზე არ უნდა იყოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, როგორიცაა LIBOR. რადგან კრიზიკული მდგომარეობის დროს არსებობს საშიშროება კურსის მომატებისა, რაც წარმოშობს დამატებით ხარჯებს და შეიძლება გამოიწვიოს კრიზისის გადმოტანა საქართველოში. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ასეთი კრიზისული მდგომარეობა. ამასთან შეიძლება გაიზარდოს გაუთვალისწინებელი მომავალი გადასახდელები.

საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის განხორციელება დამოკიდებულია კრედიტორებისა და მოვალეების ტიპებზე.

ერთ-ერთი არის მთავრობათაშორისი სესხების რესტრუქტურირება პარიზის კლუბის ოფიციალური კრედიტორების ჩარჩოში. განიხილება ორი ვარიანტი ძირითადი ან საპროცენტო თანხის რესტრუქტურირება. მათი რეალიზაციის უმთავრეს პირობას წარმოადგენს შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მოვალე-ქვეყანას შორის "ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი საგადამხდელო ბალანსის არსებობის" პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამის მიზანია დაამტკიცოს, რომ დავალიანების შემდგომი რესტრუქტურიზაცია საჭირო აღარ იქნება.

დავალიანების გადაფორმების პირველი პირობები, პარიზის კლუბის ჩარჩოებში, მიღებულ იქნა 1988 წლის ივნისში და ეწოდებოდა ტორონტოს პირობები — შეთანხმების ხელმოწერის ადგილის მიხედვით. მოცემული პირობები შესაძლებლობას აძლევდნენ მოვალეებს ან ჩამოეწერათ ვალის მესამედი, ან გამოეყენებინათ დაბალი საპროცენტო განაკვეთი (საბაზრო განაკვეთზე 3,5%-ით ნაკლები ან მისი ნახევარი). ტორონტოს პირობების გამოყენებით ოცმა მოვალე-ქვეყანამ მოახდინა საგარეო დავალიანებების რესტრუქტურირება 5,9 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.

1991 წლის დეკემბერში ტორონტოს პირობები შეცვლილი იქნა ლონდონის პირობებით (თავდაპირველად უწოდებდნენ გაღრმავებულ ტორონტოს პირობებს), რომლებმაც საშუალება მისცა მოვალეებს ჩამოეწერათ ვალის 50%.

ლონდონის პირობებმა საშუალება მისცა შემოსულობანი მოვალეებიდან თანაბრად გაენაწილებინათ კრედიტორებს შორის. უმთავრესი მიღწევა ამ პირობების იყო სამწლიანი პერიოდის დაწესება, რომლის შემდეგაც კრედიტორები აფიქსირებდნენ

მოვალე-ქვეყნის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის შესრულების სიზუსტეს, ასევე სხვა კრედიტორებთან დამყარებული შეთანხმებების პირობებს. ეს უკანასკნელნი არ უნდა ყოფილიყო უკვე გადაფორმებულ დავალიანებებზე არსებული პირობებზე ცუდი. ამ შემთხვევაშიც, როგორც ტორონტოს პირობებზე, კრედიტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ ვალის შემცირება არ გამოიწვევს დამატებით რესტრუქტურიზაციას. ლონდონის პირობები მიღებული იქნა 1994 წლის დეკემბრამდე. მისი მოქმედების ვადაში 23 ქვეყანამ მოახდინა თავისი საგარეო დავალიანებების რესტრუქტურირება საერთო თანხით 9,1 მლრდ აშშ დოლარი.

პარიზის კლუბის ჩარჩოებში თანამედროვე ვარიანტი დაბალ შემოსავლიანი ქვეყნებისათვის რეგლამენტირდება ნეაპოლის პირობებით, რომლებიც ძალაში შევიდა 1994 წლის დეკემბერში. ამ პირობების უმთავრეს სიახლედ გახდა რესტრუქტურიზაციის ისეთი სქემების შექმნა, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეამცირონ სავალო ვალდებულებების მოცულობა. რესტრუქტურიზაციის პროგრამა ითვალისწინებს მოვალეების მიერ ძირითადი ნაწილის გადახდის გადავადებას სამ წლამდე ვადით. მოვალე ქვეყანა, რომელზეც ვრცელდება ეს პირობები, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნას: ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე უნდა იყოს 500 აშშ დოლარზე ნაკლები ან საგარეო ვალი ექსპორტთან შედარებით 350%-ს უნდა აჭარბებდეს. ნეაპოლის პირობები საშუალებას იძლევა ჩამოწერონ საპროცენტო თანხის 67%. საგარეო ვალებით ძლიერ დამძიმებულ ქვეყნებს საშუალება ეძლევა მოახდინონ ძირითადი თანხის 50%-ის ან მისი ექვივალენტური მომსახურების ღირებულების ჩამოწერა.

ჰიუსტონის პირობები მიღებული იქნა 1990 წელს, რომლებმაც საშუალება მისცა პარიზის კლუბის მოვალე-ქვეყნებს, საშუალო დონის შემოსავლებით ერთ სულ მოსახლეზე, აწარმოონ არსებული საგარეო ვალების კონვერსია ფასიან ქაღალდებში, ეროვნულ ვალუტაში ან გაცვალონ საბაზრო კურსით ეროვნული ფონდებისათვის, რომელთა მიზნებია სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საქმიანობა. კონვერტაცია მთლიანად მოიცავდა სახელმწიფო ვალის მოცულობას, თუ კი მიმართული იყო ეროვნული განვითარებისაკენ. სხვა სახის ვალებისათვის კონვერსიის შესაძლებლობა ისაზღვრებოდა ვალის მთლიანი თანხის 10%-ით ან 10 მლნ დოლარით. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი უფრო მეტი იყო. ვალების კონვერტაცია არ იყო სიახლე. ასეთი სქემები გამოყენებული იყო ლონდონისა და ნეაპოლის პირობებშიც.

პარიზის კლუბის სამდივნოს მონაცემებით 1994 წლის ბოლოსათვის კონვერტირებული იყო ვალდებულებები თანხით 2,2 მლრდ დოლარი. უმეტესი წილი მოდიოდა შემდეგ მოვალე ქვეყნებზე: ეგვიპტე, სპილოს ძვლის სანაპირო, პერუ და ტანზანია. კრედიტორებს შორის თავისი ვალების შედარებით ეფექტურად კონვერტირება მოახდინა საფრანგეთმა (974 მლნ აშშ დოლარი), შვეიცარიამ (726 მლნ აშშ დოლარი), ბელგიამ (151 მლნ აშშ დოლარი) და გერმანიამ (130 მლნ აშშ დოლარი).

მეორე ვარიანტი — კომერციული ვალის რესტრუქტურიზაცია. კომერციული კრედიტების დავალიანებების გადაფორმება ხორციელდება ძირითადად ორი საშუალებით:

დავალიანებების შემცირება სავალო ვალდებულებების დისკონტით შესყიდვის შედეგად მეორად ბაზარზე დაბალი შემოსავლიანი ქვეყნების მიერ განვითარების საერთაშორისო ასოციაციის დავალიანებების შემცირების ფონდის საშუალებით ან ვალების კონვერსიით. ვალის ან მომსახურების შემცირების გზით ბრეიდის გეგმის ფარგლებში, წარმოდგენილი 1989 წელს, ან ვალების კონვერსია საშუალო შემოსავლიანი ქვეყნებისათვის.

დავალიანების შემცირების ფონდი იყო ორგანიზებული 1989 წელს უღარიბესი განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად, რომლებსაც ჰქონდათ უფლება მიეღოთ კრედიტები მხოლოდ განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხაზით და მოეხდინათ რესტრუქტურიზაცია მათი საგარეო დავალიანებების.

მოვალე ქვეყნის მიერ მეორად ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულებების დსიკონტით შესყიდვას განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ფონდის საშუალებით თან ახლდა დარიცხული პროცენტების დაფარვა. ფონდის წესებიდან გამომდინარე გამოსყიდვას ექვემდებარება საშუალო და გრძელვადიანი სახელმწიფო ვალდებულებები კერძო უცხოური კრედიტორების მიმართ, რომლებიც არ უნდა იქნეს დამატებით გარანტირებული ან უზრუნველყოფილი მთავრობის ან მესამე მხარის მიერ. ამასთან მოკლევადიანი კომერციული ვალდებულებები გაცემული ექსპორტიორების მიერ. ასევე ფონდის სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას ვალის კონვერსიისათვის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

ფონდის მხრიდან დახმარება ხორციელდება, თუ მოვალე-ქვეყანა ასრულებს შემდეგ პირობებს:

— სტიაბილიზაციის პროგრამის არსებობა შეთანხმებული განვითარების საერთაშორისო ასოციაციასა და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან;

— საგარეო ვალის მართვის სტრატეგიის არსებობა.

განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ დავალიანებების გადაფორმების პროგრამას თითოეული ქვეყნისათვის ერთჯერადი ხასიათი აქვს, შეზღუდული 10 მლნ აშშ დოლარით. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ეს თანხა გაიზარდოს.

1994 წლის ბოლოსათვის განვითარების საერთაშორისო ასოციაციამ სხვა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან ერთად მოახდინა ოპერაციების დაფინანსება დავალიანების ექვივალენტური შემცირებით 815 მლნ აშშ დოლარით.

ბრეიდის გეგმა შემოღებულ იქნა 1986 წელს აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ, რომელიც მიმართულია საგარეო ვალის სიდიდისა და მომსახურების ღირებულების შემცირებისაკენ ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ბრეიდის გეგმის ძირითადი მიზნები იყო:

— ფულადი მასის კონტროლი;

— ბიუჯეტის დეფიციტისა და ინფლაციის შემცირება;

— პრივატიზაციის პროცესის აქტივიზაცია.

ეს პროგრამა ითვალისწინებს რესტრუქტურიზაციის სამ ვარიანტს:

ვარიანტი 1 — წარმოადგენს მოვალე-ქვეყნის მიერ თავისი ვალდებულებების ნაწილის შესყიდვას მეორად ბაზრის ფასებზე დაბლა. ამასთან იგი თანახმაა კომპენსირება გაუკეთოს კომერციულ კრედიტორებს ნაღდი საშუალებებით დაახლოებით 10-15 პროცენტით;

ვარიანტი 2 — ვალის გაცვლა შესაბამის ნომინალურ ან დისკონტირებულ ობლიგაციებზე. ბრეიდის ობლიგაცია არის 10 წელზე მეტი ვადით და შეღავათიანი პერიოდით, ასევე საპროცენტო განაკვეთი აქვს საბაზროზე დაბალი;

ვარიანტი 3 — სავალო ვალდებულებების ნაწილის გაცვლა მოვალის ეროვნულ (არაკონვერტირებად) ვალუტაზე (როგორც წესი სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ფონდების შესაქმნელად) ან ეროვნული კომპანიების აქციებზე.

ბრეიდის გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ვალის აქციონერულ კაპიტალზე გაცვლის მექანიზმი (სვოპ), რომელიც ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: საგარეო დავალიანებების ნაწილის გადაცვლა მოვალე-ქვეყნის საწარმოების აქციებში; უცხოურ ვალუტაში არსებული საგარეო ვალდებულებების გადაცვლა შიდა სავალო ვალდებულებებში, რომლითაც საშუალება ეძლევათ ქვეყნის მეორად ბაზარზე შეიძინონ საწარმოთა აქციები ან მოახდინონ პირდაპირი ინვესტირება. ამასთან შიდა ვალდებულებები მცირდება, ხოლო უცხოელი კრედიტორები მიიღებენ მოცემული ქვეყნის კაპიტალის ნაწილს.

ვალების კონვერსია წარმოადგენს საგარეო ვალების მართვის ერთ-ერთ ინტეგრალურ ნაწილს. პირველი ქვეყანა ვალების მაღალი დონით, რომელმაც მიიღო ინსტიტუციონალური პროგრამა — ვალების კონვერსია იყო ჩილე (1985 წლის მაისი). კონვერსიულ ოპერაციებს შორის შედარებით მაღალი წილი უკავია ვალების შესყიდვას მეორად ბაზარზე საბაზრო ფასზე ნაკლებით (მთელი ოპერაციების 40%) და კონვერსია კორპორაციული საწარმოების აქციებში (მთელი ოპერაციების 34%).

ვალების აქციებში გადაცვლის მექანიზმი. მოცემული ოპერაცია ითვალისწინებს ვალის კონვერტაციას კერძო კრედიტორების მიერ მოვალე-ქვეყნის კომპანიების აქციებში. ინვენსტორები ყიდულობენ ვალს მეორად ბაზარზე, შემდეგ ის ტრანსფორმირდება ქვეყნის ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი ინსტრუმენტებით ეროვნულ ვალუტაში აქციების შემდგომი შესყიდვისათვის. ეს მექანიზმი აქტიურად გამოიყენებოდა ჩილეს, არგენტინისა და მექსიკის საგარეო ვალდებულებათა გადაფორმებისათვის.

ვალის ეროვნულ ვალუტაში კონვერსიის მექანიზმი (ვალი განვითარებისათვის). ბოლო წლებში იზრდება კრედიტორების ინტერესი ვალების კონვერსიის მიმართ მოვალე-ქვეყნებში ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. კრედიტორმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს ეროვნულ ვალუტაში ვალის კონვერსიის პროგრამები განვითარების პროექტების გრძელვადიანი დაფინანსების მიზნით. გამოიყოვა სამი სახის ასეთი პროგრამები:

— ვალი ბუნების დაცვაზე;

— ვალი ჯანდაცვაზე;

— ვალი განათლებაზე.

სახელმწიფო კრედიტის ეფექტურობის მიღწევისათვის კონვერსიის გარდა სახელმწიფო საგარეო ვალის მართვისას იყენებენ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: რეფინანსირება, კონსოლიდაცია, დაფარვის გადავადება და ვალების ანულირება.

საგარეო ვალების კონვერსიაზე შიდა ვალებში ქვემოთ ვისაუბრეთ და როგორც ვნახეთ მსოფლიო პრაქტიკაში ფართო გამოყენება ხვდა წილად. ეკონომისტები განიხილავენ შიდა ვალებს, როგორც ბაბუის ვალს შვილიშვილისადმი. ამიტომ შიდა ვალების ზრდას საგარეო დავალიანებების შესამცირებლად არცთუ ისე საშიშად თვლიან.

რეფინანსირება გულისხმობს ძველი დავალიანებების დაფარვას ახალი კრედიტების აღებით. საქართველოს ასეთი პრაქტიკა ჰქონდა ავსტრიის, რუსეთისა და ასევე სხვა ქვეყნების კრედიტებზე, რომლებთანაც ძველი დავალიანებების დასაფარავად ხელი მოეწერა ახალ საკრედიტო ხელშეკრულებებს.

საქართველოში ასეთი პრაქტიკის გამოყენება შეიძლება საგარეო ვალების სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებში, ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერსიით. თუმცა წარმოიშობა წინააღმდეგობები იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოელ კრედიტორებს ხელში უვარდებათ ქვეყნის კაპიტალის ნაწილი. კრედიტორებიდან უკვე ინვესტორებად გადაიქცევიან. ეკონომისტებს შორის იბადება აზრი, ეს ხომ არ წარმოშობს უცხოელების ხელში დიდი კორპორაციული საწარმოების საკონტროლო პაკეტის ჩადებას.

კონსოლიდაციის ქვეშ იგულისხმება ვალების პირობების ცვლილება დაკავშირებული ვადებთან. ვადების ცვლილება უკვე არსებულ ვალებზე საქართველოს საგარეო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთი საინტერესო ხერხია. ასეთი სახით მიმდინარეობს მოლაპარაკება თურქმენეთის მხარესთან შეღავათიანი ვადების გაზრდის თაობაზე. როგორც ცნობილია, თურქმენეთის კრედიტზე რესტრუქტურიზაციის დროს, რომელიც რეფინანსირების გზით მოხდა, კრედიტორი მხარე თანახმა იყო შემდგომ მოლაპარაკებაზე შეღავათიანი პერიოდის გასაზრდელად. დღესდღეობით კი, როგორც ვთქვით, მიმდინარეობს მოლაპარაკება კონსოლიდაციის გზით.

დავალიანებების დროებითი რეორგანიზაციის მიზნით საინტერესო გზაა გადასახდელის გაყინვა და დაფარვის გადავადება. ამ შემთხვევაში მოვალე-ქვეყნები კრედიტორებთან შეთანხმდებიან, რომ დავალიანების გადახდა გადავადდება განსაზღვრული პერიოდისათვის და გაიყინება (ამ პერიოდის განმავლობაში აღარ დაერიცხება საპროცენტო თანხა).

სახელმწიფო ვალები მიღებული საერთაშორისო კრედიტების საფუძველზე არის ფართო დისკუსიის საგანი, რადგან ხშირად სესხს იღებენ ერთნი და გადახდა კი უწევთ მათ თაობებს. ამის გამო იყო შემთხვევები, როდესაც მთავრობებმა უარი თქვეს წინა ხელისუფლების მიერ მიღებული ვალების გადახდაზე. საგარეო ვალის ანულირება საინტერესოა ერთი მხრივ, მაგრამ პრობლემატურია მეორე მხრივ. თუ ხდება დავალიანების ჩამოწერა კრედიტორის თანხ-

მობით, მაშინ პრობლემის წარმოშობის საშიშროება არ არის. მაგრამ თუ ქვეყანას არ შეუძლია გადაიხადოს საგარეო დავალიანებები, მაშინ ეს ფაქტი იმოქმედებს მის კრედიტუნარიანობაზე და საერთაშორისო პრესტიჟზე. ამ შემთხვევაში ახალი კრედიტის მიღება შეუძლებელი ხდება. თუ მთავრობა გამოაცხადებს, რომ უარს ამბობს გადაიხადოს წინა ხელისუფლების მიერ მიღებული საგარეო ვალები (როგორც მოხდა რუსეთში 1917 წლის რევოლუციის, II მსოფლიო ომის შემდგომ და ასევე სხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს), ამ დროს პრობლემატური ხდება არა მარტო ახალი კრედიტების მიღება, არამედ საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობაც და ინვესტიციებიც.

ასეთი პრობლემატური სიტუაციების მოსაგვარებლად მუშაობს ძირითადად საერთაშორისო სავალუტო ფონდი. თუ მოვალე-ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნებს, სავალუტო ფონდი შედარებით შეღავათიანი პირობებით აძლევს მას კრედიტს ვალდებულებების დასაფარავად. რადგან თანამედროვე მსოფლიოში ჩაკეტილი ეკონომიკის ფუნქციონირება უკვე შეუძლებელია, ამიტომ ქვეყნები ცდილობენ ყოველთვის შეინარჩუნონ თავიანთი კრედიტუნარიანობა. ასე მაგალითად, რუსეთმა თავის თავზე აიღო სსრკ-ს საგარეო ვალდებულებები 80 მლრდ აშშ დოლარი. შეეძლო უარი ეთქვა მათ გადახდაზე, მაგრამ ახალი კრედიტების მიღების ნაკლები შესაძლებლობა ექნებოდა.

ვალების კონვერსიის დროს ჩვენ განვიხილეთ კრედიტორების მიერ ვალების ეროვნულ ვალუტაში გადაცვლა საქველმოქმედო თუ ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ფონდების შესაქმნელად. განხილული იყო სამი ვარიანტი. საქართველოსთვის უფრო საინტერესოა ბუნების დაცვის პროგრამები. მსოფლიო პრაქტიკაში არის მაგალითები ეკოლოგიური მიზნით სახელმწიფო ვალების რესტრუქტურიზაციისა. 1995 წლის კონფერენციაზე "გარე სამყარო ევროპისათვის" ევროპის ქვეყნებმა და აშშ-მ პოლონეთს აპატიეს 466 მლნ აშშ დოლარი იმ პირობით, რომ ეს თანხა გამოიყენება ქვეყნის შიგნით გარემოს დაცვისათვის.* (MINISTERIAL CONFERENCE "ENVIRONMENT FOR EUROPE" Bulgaria 1995)

საქართველოს პერსპექტივაში "TRACECA"-სა და "ბისეკის" გაერთიანებებში გარემოს დაცვის მიზნით შეუძლია გამოიყენოს მსოფლიო პრაქტიკა და მოახდინოს ვალების რესტრუქტურიზაცია.

სასარგებლო იქნებოდა გამოგვეყენებინა საგარეო დავალიანებების რესტრუქტურირების სხვადასხვა მეთოდები ადაპტირებული მსოფლიო პრაქტიკაში და მოვნახოთ გზა გადასახდელების გადავადების კურსიდან ვალების შემცირების კურსზე. ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ სქემები წარმოდგენილი ჰიუსტონის პირობებით იმ ქვეყნებისათვის, რომელთა შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე საშუალო დონისაა და ძლიერ დამძიმებულნი არიან საგარეო ვალდებულებებით.

საქართველოში საგარეო ვალების პრობლემა დროთა განმავლობაში უფრო წინა პლანზე წამოიწევა. მხოლოდ რესტრუქტურიზაცია არ არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან. გადამხდელუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია ეკონომიკის გაჯანსაღება აღებული კრედიტების მიზანმიმართული გამოყენებით.

მოხსენების შედგენისას ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მონაცემებით.

გრაფიკი N1

საქართველოს საგარეო ვალები



გრაფიკი N2

საქართველოს საგარეო ვალების წილობრივი მონაცემები



გრაფიკი N3

საქართველოს საგარეო ვალდებულებებზე მომსახურების
კოეფიციენტი ექსპორტთან შედარებით



გრაფიკი N4

გრანტ-ელემენტები საქართველოს საგარეო ვალებზე



გრაფიკი N5

მეზობელი ქვეყნების საგარეო ვალები მშპ-სთან შედარებით 1995 წლის მონაცემებით



ცხრილი N

გადასახდელები საქართველოს საგარეო ვალებზე წლების მიხედვით

(მლნ აშშ დოლარ

კრედიტორი ქვეყანა	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008

II კრედიტი (აეროპორტი)	2.2963	2.1927	2.0892	1.9856	1.8821	1.7785	1.6750				
ა) ძირითადი თანხა	1.5714	1.5714	1.5714	1.5714	1.5714	1.5714	1.5714				
ბ) საპროცენტო განაკვეთის თანხა	0.7249	0.6213	0.5178	0.4142	0.3107	0.2071	0.1036				
III კრედიტი (საკრედიტო ხაზი)	0.3653	0.6506	0.9166	0.8781	0.8397	0.8012	0.7628	0.7243	0.6859	0.6474	0.6090
ა) ძირითადი თანხა		0.2853	0.5705	0.5705	0.5705	0.5705	0.5705	0.5705	0.5705	0.5705	0.5705
ბ) საპროცენტო განაკვეთის თანხა	0.3653	0.3653	0.3461	0.3076	0.2692	0.2307	0.1923	0.1538	0.1154	0.0769	0.0385
მსოფლიო ბანკი სულ	2.4824	2.4824	2.4824	2.4824	2.4824	2.4824	3.5510	6.2955	9.6345	15.8344	15.7335
მსოფლიო ბანკი მე-13 გარდა	2.3295	2.3295	2.3295	2.3295	2.3295	2.3295	3.3981	6.1426	9.4816	14.6628	14.5696
ა) ძირითადი თანხა							1.0686	3.8211	7.1888	12.4239	12.4239
ბ) საპროცენტო განაკვეთის თანხა	2.3295	2.3295	2.3295	2.3295	2.3295	2.3295	2.3295	2.3215	2.2928	2.2389	2.1457
მე-13 მუნიც. განვ.											
და დეცენტრ.	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	1.1716	1.1639
ა) ძირითადი თანხა										1.0187	1.0187
ბ) საპროცენტო განაკვეთის თანხა	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1529	0.1452
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.1136	0.1914
ა) ძირითადი თანხა										0.0783	0.1567
ბ) საპროცენტო განაკვეთის თანხა	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0353	0.0347
სულ	119.7108	116.9666	139.9707	147.7057	159.3551	75.6966	74.2884	72.7990	61.4699	37.2412	34.1210
ა) ძირითადი თანხა	82.0948	82.7330	109.1642	121.4032	138.0456	60.0442	61.1771	62.2395	53.3682	31.1327	28.9017
ბ) საპროცენტო განაკვეთის თანხა	37.6160	34.2336	30.8065	26.3025	21.3095	15.6524	13.1113	10.5595	8.1017	6.1085	5.2193

სააქციზო გადასახადი საქართველოში

დავით ამაღლობელი

აქციზი არაპირდაპირი გადასახადის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად. აქციზით იბეგრება საქონლის ცალკეული სახეების ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: პირველი, მათი წარმოება და რეალიზაცია მთავრობის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ხვდება; მეორე, მოთხოვნა ფასში ასეთ საქონელზე არაელასტიურია, ანუ ფასის საგრძნობლად მომატების შემთხვევაში ამ საქონლების მოხმარება მხოლოდ ოდნავ მცირდება. მესამე, ისინი წარმოადგენენ ფუფუნების საგნებს; მეოთხე, მთავრობათა დამოკიდებულების თანახმად ამგვარი საქონელი არ ითვლება არსებითი მნიშვნელობის საქონლად და მათი მოხმარება უარყოფით ექსტერნალიებს იწვევს (მაგალითად, თამბაქოს მოხმარება დაკავშირებულია მწეველებში სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებასთან).

საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება და იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი არ არის განთავისუფლებული გადასახადისაგან. საგადასახადო კოდექსის თანახმად აქციზური საქონლის ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

აქციზი ითვლება როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საგადასახადო შემოსავლების გასაზრდელად, ვინაიდან საქონლის სახეობათა ვიწრო ჯგუფზე ფოკუსირების გამო იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღებაზე და რესურსების განაწილებაზე. ამასთან აქციზი არ მოითხოვს სერიოზულ ადმინისტრაციულ დაძაბულობას და იგი სხვა გადასახადებთან შედარებით, გადახდისაგან თავის არიდების მცირე შესაძლებლობებს იძლევა. აქციზური საქონელი ხასიათდება წარმოებისა და რეალიზაციის მსხვილი მასშტაბებით, მწარმოებელთა შედარებით მცირე ჯგუფით და მისი საქონელ-სუბსტიტუტების სიმცირით, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს იმ მიზნის მიღწევას, რასაც შემოსავლის გაზრდა ჰქვია.

გარდა საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმიზაციისა, აქციზი იმავდროულად სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევასაც ემსახურება, კერძოდ:

(1) პროდუქციის მოხმარების შემცირება ჯანდაცვის თვალსაზრისით (ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი);

(2) გარემოს დაბინძურების შემცირება და კონსერვაციის ხელშეწყობა ენერგოპროდუქტების მოხმარებისას;

(3) მოსაკრებლები ავტომობილების მფლობელებისაგან გზების მოვლა-შეკეთებისათვის (ბენზინზე აქციზის საშუალებით);

(4) ფუფუნების საგნების მოხმარების შემცირება.

აქციზის განაკვეთები შეიძლება დაწესებულ იქნეს ორგვარად ან სპეციფიურ ან ე.წ. ად ვალურ (ad valerom — ღირებულების შესაბამისად) პირობებში. აქციზის სპეციფიური განაკვეთი გულისხმობს, რომ დაბეგვრის ბაზას წარმოადგენს არა საქონლის ღირებულება, არამედ ფიზიკური ერთეული. საქართველოში მოქმედებს ად ვალური სისტემა, ისევე როგორც აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, ხოლო რუსეთში კი — შერეული სისტემა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად აქციზური საქონელი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

N საქონლის დასახელება	აქციზის განაკვეთები
1. ყურძნის ღვინოები და ღვინომასალები, შამპანური და ცქრიალა ღვინოების გარდა.	15%
2. შემაგრებული ღვინოები და ღვინომასალები.	50%
3. ყურძნის ცქრიალა და შუშხუნა ღვინოები.	20%
4. შამპანური ღვინოები.	100%
5. ვერმუტი, ხილის ღვინოები (ხილის შუშხუნა ღვინოების ჩათვლით) ღვინომასალები, სხვა სასმელები.	50%
6. სპირტიანი სასმელები:	
. ბრენდი, ბრენდის მასალა, ყურძნის ღვინისაგან მიღებული სხვა სპირტიანი სასმელები, არაყი.	50%
. სხვა დანარჩენი (კონიაკი, ვისკი, ჯინი, რომი, ბალზამი, ლიქიორი და სხვა ალკოჰოლური სასმელები).	100%
7. ეთილის სპირტი	100%
8. ლუდი	15%
9. თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა):	
. უმაღლესი, 1-ლი და მე-2 კლასისა.	100%
. მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასისა.	5%
10. საიუველირო ნაწარმი	35%
11. მსუბუქი ავტომობილები	15%
12. მსუბუქი ავტომობილების საბურავები	15%
13. საავტომობილო ბენზინი	15%
14. ეთილირებული ბენზინი	50%
15. თართისა და ორაგულის ხიზილალა, ძვირფასი სახეობის თევზებისა და ზღვის პროდუქტების დელიკატური პროდუქცია.	20%

საგადასახადო კოდექსის თანახმად აქციზისაგან განთავისუფლებული არიან:

. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული და მოხმარებული ალკოჰოლური სასმელები;

. ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის ორი ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი;

საქართველოში ავტომობილით შემომსვლელი პირის ავტომობილის ავზში არსებული საწვავი;

. აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქციზის შემოღების ერთ-ერთი მიზანია ისეთი პროდუქციის მოხმარების შემცირება (უარყოფითი ექსტერნალიების გამოსწორება), რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. როგორც გამოკვლევები ადასტურებენ, მაღალი გადასახადები თამბაქოს ნაწარმზე ხელს უწყობს მოზარდებში თამბაქოს მოხმარების შემცირებას, განსხვავებით უფროსი ასაკის ადამიანებისაგან, რომლებშიც იმდენად ძლიერია მიდრეკილება ამ მავნე ჩვევისადმი, რომ ფასი დიდ განმსაზღვრელ ფაქტორს არ თამაშობს. თუკი მაღალი აქციზური განაკვეთები თამბაქოზე შენარჩუნებული იქნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ეს განაპირობებს მწეველ თინეიჯერთა რაოდენობის შემცირების და საბოლოო ჯამში თამბაქოს მოხმარების შეზღუდვასაც.

აქციზიდან მიღებული შემოსავლები საქართველოს ბიუჯეტში უდიდესი ტემპებით იზრდება.

გავეცნოთ თუ რა მდგომარეობაა დღესდღეობით საქართველოში აქციზური საქონლის დაბეგვრიდან შემოსავლების მიღების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ამ წყაროდან შემოსავალი წლიდან წლამდე იზრდება. ასე მაგალითად, 1997 წელს გასულ წელთან შედარებით აქციზიდან მიღებული შემოსავალი 278%-ით გაიზარდა, ხოლო 1998 წელს ნავარაუდევია წინა წელთან შედარებით თითქმის 108%-იანი ზრდა. უფრო ზუსტად დინამიკაში აქციზური შემოსავლების ზრდა ნაჩვენებია შემდეგ ნახაზზე:

აქციზიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლები დინამიკაში

(მილიონ ლარებში)



* დაგეგმილი

აქციზიდან მიღებული შემოსავლების წილი ერთობლივ საგადასახადო შემოსავლებში



* დაგეგმილი

აქციზური შემოსავლების უდიდესი ნაწილი იმპორტის დაბეგვრიდან მიიღება.

საერთო აქციზური შემოსავლებიდან ლომის წილი იმპორტულ საქონელზე მოდის, მაშინ როდესაც ადგილობრივი წარმოების აქციზური საქონლიდან შემოსავალი ძალიან მწირია. მაგალითისათვის, 1997 წელს ბიუჯეტში ერთობლივმა აქციზურმა შემოსავალმა შეადგინა 51 964 ლარი, საიდანაც 49 900 ათასი ლარი იმპორტიდან იქნა მიღებული. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ალბათ ის არის, რომ ქვეყანაში წარმოებული აქციზური საქონლის უდიდესი ნაწილი ექსპორტში გაიტანება, ხოლო ექსპორტი კი როგორც ცნობილია ნულოვანი აქციზური განაკვეთით იბეგრება. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ იარსებებს აღურიცხავი წარმოებაც (მაგალითისთვის, რუსეთში სპირტიანი სასმელების მთლიანი წარმოების დაახლოებით 60% აღურიცხავი და დაუბეგრავია).

აქციზურ საქონელს შორის ყველაზე მეტი შემოსავალი თამბაქოს ნაწარმს მოაქვს, შემდეგ კი შესაბამისად ბენზინსა და ალკოჰოლურ სასმელებს.

სტრუქტურულად აქციზურ საქონელს შორის ყველაზე მეტი შემოსავალი ბიუჯეტისათვის თამბაქოს ნაწარმს მოაქვს, შემდეგ კი შესაბამისად ბენზინსა და ალკოჰოლურ სასმელებს. მაგალითისთვის, 1997 წელს, როგორც ცნობილია, აქციზიდან მიღებული საერთო შემოსავალმა ბიუჯეტში შეადგინა 51 964 ათასი ლარი, საიდანაც დაახლოებით 28 400 ათასი ლარი თამბაქოდან იქნა მიღებული, ხოლო 13 900 ათასი ლარი კი ბენზინიდან. აქციზიდან მიღებული საერთო შემოსავალი საქონლის სტრუქტურის მიხედვით შემდეგ დიაგრამაზეა მოცემული:

შემოსავლების სტრუქტურული განაწილება აქციზური საქონლის მიხედვით



სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის (სსდ) მონაცემებით 1997 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა 14 353 600 ლარის ღირებულების თამბაქოს ნაწარმი, რომლიდანაც 7 709 048 ლარი ექსპორტის სახით გავიდა საზღვარგარეთ. თუკი მივიჩნევთ, რომ ქართული თამბაქო მთლიანად ხვდება მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის თამბაქოს სიაში (თუმცა ამგვარი დაშვება პირობითია) და მისი დაბეგვრა უნდა მოხდეს 5%-იანი აქციზის განაკვეთით, მაშინ მხოლოდ ადგილობრივი თამბაქოს წარმოებიდან აქციზით მიღებული შემოსავალი უნდა გაუტოლდეს დაახლოებით 330 000 ლარს. მართლაც 1997 წელს საქართველოს საგადასახადო სამსახურის მიერ ამოღებულ იქნა 0.3 მილიონი ლარი თამბაქოს აქციზიდან.

ადგილობრივი წარმოების აქციზით დაბეგვრიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალი რეალობას შეესაბამება.

რაც შეეხება იმპორტირებულ თამბაქოს, აქ სურათი სხვაგვარად წარმოგვიდგება. სიგარეტის იმპორტის დაბეგვრა ხდება არა ისე, როგორც ეს საგადასახადო კოდექსშია ნაჩვენები (100%-იანი აქციზის გადასახადი ღირებულებიდან), არამედ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე და დღევანდელი მდგომარეობით დაბეგვრა ხდება შემოტანილი სიგარეტის ერთ კოლოფზე 25 თეთრის ოდენობით, რომელიც მოიცავს როგორც აქციზს, ისე დ.ღ.გ.-ს. დაბეგვრის არაკოდექსური მეთოდის გამოყენებით საქართველოს ბიუჯეტმა 1997 წელს თამბაქოს აქციზიდან მიიღო 28,1 მილიონი ლარი. ახლა შევეცადოთ დავადგინოთ, თუ რამდენს შეადგენდა თამბაქოს აქციზიდან მიღებული შემოსავალი, თუკი დაბეგვრა მოხდებოდა ჩვეულებრივი სისტემის გამოყენებით. სსდ-ს მონაცემებით 1997 წელს საქართველოში იმპორტის სახით შემოვიდა 140-085 ათასი ლარის ღირებულების თამბაქოს ნაწარმი. თუკი დავუშვებთ, რომ იმპორტირებული თამბაქო ძირითადად მოიცავს უმაღლესი, პირველი და მეორე კლასის თამბაქოს (ჩვენი მაღაზიების და ჯიხურების ვიტრინებში გამოფენილი იმპორტული სიგარეტები ასეთი დაშვების გაკეთების საშუალებას იძლევა), მაშინ მის დასაბეგრად უნდა გამოვიყენოთ 100%-იანი აქციზური განაკვეთი ასეთ შემთხვევაში საქართველოს ბიუჯეტს თამბაქოს ნაწარმის იმპორტიდან 1997 წელს უნდა მიეღო დაახლოებით 140 მილიონი ლარი. თუმცა შემდგომმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ დასახელებული თანხა მცირედი სიზუსტითაც კი არ ასახავს რეალურად შესაძლებელ შემოსავალს. გასაკვირი არ იქნება თუკი აღვნიშნავთ, რომ ფაქტიური იმპორტის მოცულობა სჭარბობს ოფიციალურ მონაცემებს და ჩვენი გაანგარიშებით საქართველოში 1997 წელს კონტრაბანდის გზით დაახლოებით 85-90 მილიონი ლარის ღირებულების თამბაქოს ნაწარმი შემოვიდა. ზემოთქმულის დასადასტურებლად საკმარისია შედარდეს თამბაქოს მოხმარება და მისი მიწოდება. 1997 წელს თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში დღესდღეობით 2 მილიონი მწეველია, მათგან 26% არასისტემატიური მწეველი (დღეში 10 ღერამდე), 43% სისტემატიური მწეველი (დღეში 11-20 ღერი), ხოლო 31% ინტენსიური მწეველი (დღეში 20 ღერზე მეტი). თუკი აღნიშნულ მონაცემებს დავეყრდნობით, საქართველოში ყოველდღიურად მოიხმარება 30 500 000 ღერი სიგარეტი (ანუ 1 525 000 კოლოფი). საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ სიგარეტის საკონტრაქტო ღირებულების მინიმალურ ზღვრად დაწესებულია 1 000 ღერზე — 16 დოლარი. აქედან გამომდინარე, ყოველწლიურად საქართველოში მოხმარებული სიგარეტის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 234 მილიონ ლარს, რომლიდანაც მიახლოებით 7 მილიონი ლარი ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდება, ხოლო დარჩენილი 227 მილიონი ლარი კი იმპორტით, მაშინ როდესაც 1997 წლის მონაცემებით საქართველოში ოფიციალურად 140 მილიონი ლარის ღირებულების თამბაქოს ნაწარმი შემოვიდა.

1997 წელს საქართველოში კონტრაბანდის გზით 85-90 მილიონი ლარის ღირებულების თამბაქოს ნაწარმი შემოვიდა.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმჯობესი იქნება, თუკი იმპორტული საქონლის დაბეგვრა მოხდება არა იმ ფორმით, როგორც ეს ხდება, არამედ 100%-იანი აქციზის განაკვეთით. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ფასი იმპორტულ სიგარეტზე გაიზრდება (დაახლოებით 40%-ით), მაგრამ სიგარეტის მოხმარება ამ მხრივ უმნიშვნელოდ შემცირდება. ამასთან, შედარებით მაღალი ფასები სიგარეტზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელს შეუწყობს მწეველთინეიჯერთა არმიის შემცირებას.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა მხოლოდ 1997 წელს მხოლოდ თამბაქოს აქციზით დაბეგვრიდან ვერ მიიღო დაახლოებით 200 მლნ ლარი.

საერთო ჯამში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა მხოლოდ 1997 წელს მხოლოდ თამბაქოს აქციზით დაბეგვრიდან ვერ მიიღო დაახლოებით 200 მილიონი ლარი. იმ შემთხვევაში, თუკი დაბეგვრა

მოხდებოდა იმ ორი ექსპერიმენტალური, სპეციფიური განაკვეთების გამოყენებით, რომელიც უკვე 1997 წელს მოქმედებდა, მაშინ ბიუჯეტს უნდა მიეღო დაახლოებით 60 მლნ ლარი. ამ მოვლენას კი არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი ზეგავლენაც აქვს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. კერძოდ, იმავე თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში არსებული მწეველებიდან 740 000 კაცში განსაკუთრებით მაღალია მძიმე დაავადებათა რისკი, ამიტომაც ზემოთ ნახსენები თანხა დააკლდა თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლასა და მისი ზეგავლენით გამოწვეულ დაავადებათა მკურნალობას.

ამასთან ზემოთ აღწერილი მოვლენები კიდევ ერთი დასკვნის საშუალებას იძლევა, კერძოდ ის გარემოება, რომ ადგილობრივ თამბაქოს მწარმოებელთა აქციზით დაბეგვრა ხდება წესების დაცვით, ხოლო იმპორტირებული სიგარეტის დიდი ნაწილი კი შემოდის დაუბეგრავად, ქართველ მეწარმეებს დაუცველ მდგომარეობაში აყენებს.

საგადასახადო კოდექსის თანახმად თამბაქოს ნაწარმის გამიჯვნა ხდება ორ კატეგორიად. მომავალში უმჯობესი იქნება, თუკი თამბაქოს გრადაცია მოხდება უფრო ფართოდ და თითოეულ მათგანს დაუწესდეს განსხვავებული სპეციფიური განაკვეთი.

1997 წელს ბენზინიდან აქციზის სახით ამოღებულ იქნა 13.9 მილიონი ლარი, რომლიდანაც თითქმის 100% იმპორტზე მოდიოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქციზიდან მიღებულ ერთობლივ შემოსავლებში მეორე ადგილი ბენზინს უჭირავს. 1997 წელს ბენზინიდან აქციზის სახით ამოღებულ იქნა 13.9 მილიონი ლარი, რომლიდანაც თითქმის 100% იმპორტზე მოდიოდა. სსდ-ს მონაცემებით, 1997 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა მიახლოებით 500 000 ლარის ღირებულების ჩვეულებრივი საავტომობილო ბენზინი, ხოლო იმპორტირებულ იქნა 104 440 ათასი ლარის ბენზინი. რაც შეეხება ეთილირებულ ბენზინს, იმავე სსდ-ს მონაცემებით 1997 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა დაახლოებით 650 000 ლარის ღირებულების ეთილირებული ბენზინი, ხოლო იმპორტის სახით ქვეყანამ მიიღო 6.5 მილიონი ლარის ეთილირებული ბენზინი. თუკი ზემოთ მოყვანილ მონაცემებს დავეყრდნობით (და ასევე გავითვალისწინებთ ექსპორტის ნულოვანი ტარიფით დაბეგვრას), 1997 წელს საქართველოს ბიუჯეტს ჩვეულებრივი საავტომობილო ბენზინის აქციზით დაბეგვრიდან (15% - - კოდექსის თანახმად) უნდა მიეღო დაახლოებით 15.5 მილიონი ლარი, ხოლო ეთილირებული ბენზინის აქციზიდან (50%) უნდა ყოფილიყო მიღებული დაახლოებით 4.5 მილიონი ლარი. სულ ჯამურად კი ბენზინის აქციზიდან ბიუჯეტში უნდა შესულიყო 20 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც რეალურმა შემოსავალმა შეადგინა 13.9 მილიონი ლარი.

1997 წელს ბენზინის აქციზიდან ბიუჯეტში უნდა შესულიყო 20 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც რეალურმა შემოსავალმა შეადგინა 13.9 მილიონი ლარი.

რაც შეეხება ალკოჰოლურ სასმელებს, მდგომარეობა აქაც არცთუ სახარბიელოა. სსდ-ს მონაცემებზე დაყრდნობთი 1997 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა დაახლოებით 15.5 მილიონი დოლარის ღირებულების ყურძნის ღვინოები და ღვინომასალები, შემაგრებული ღვინოები და ღვინომასალები — 1 799 730 დოლარი; ყურძნის ცქრიალა და შუშხუნა ღვინოები — 719 892 დოლარი; შამპანური ღვინოები — 3 885 000 დოლარი; სპირტიანი სასმელები, მათ შორის ბრენდი, ბრენდის მასალისაგან მიღებული სხვა ალკოჰოლური სასმელები, არაყი — 8 715 000 დოლარი; სხვა დანარჩენი სპირტიანი სასმელები — 3 215 000 დოლარი; ხოლო სპირტის წარმოებამ შეადგინა 1 224 000 დოლარი. თუკი აღნიშნულ ციფრებს გამოვიყენებთ, აგრეთვე მხედველობაში მივიღებთ ჩამოთვლილი ალკოჰოლური სასმელების თითოეული პუნქტის მიხედვით ექსპორტ-იმპორტის ღირებულებასაც (ცნობისათვის, მთლიანად ალკოჰოლური სასმელების ექსპორტმა 1997 წელს შეადგინა 17 მილიონი დოლარი, ხოლო იმპორტმა კი — 13.6 მილიონი დოლარი), შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: 1997 წელს საქართველოს ბიუჯეტს უნდა მიეღო: ყურძნის ღვინოებისა და ღვინომასალების აქციზიდან (15%-იანი აქციზის განაკვეთი) — 1 047 320 ლარი, შემაგრებული ღვინოებისა და ღვინომასალების აქციზიდან (15%) — 359 767 ლარი, ყურძნის ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების აქციზიდან (20%) — 90 000 ლარი, შამპანური ღვინოების აქციზიდან (100%) — 4.4 მილიონი ლარი, სპირტიანი სასმელების აქციზიდან (50%-იანი და 100%-იანი განაკვეთები) — 10 მილიონ ლარამდე, ხოლო ეთილის სპირტის აქციზიდან (100%) — 13 მილიონი ლარი. საერთო ჯამში კი ალკოჰოლური სასმელების აქციზის დაბეგვრიდან 1997 წლის ბიუჯეტის შემოსავალს უნდა შეედგინა მიახლოებით 30 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც რეალური შემოსავალი მხოლოდ 7.8 მილიონი ლარი იყო.

ალკოჰოლური სასმელების აქციზის დაბეგვრიდან 1997 წლის ბიუჯეტის შემოსავალს უნდა შეედგინა დაახლოებით 30 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც რეალური შემოსავალი მხოლოდ 7.8 მილიონი ლარი იყო.

რაც შეეხება დანარჩენ სააქციზო საქონელს, აქ დარღვევები უფრო ნაკლებ შესამჩნევია, ვინაიდან ისინი შედარებით მცირე რაოდენობით მოიხმარება საქართველოში. გამონაკლისია მსუბუქი ავტომობილები, რომლებიც, როგორც ვიცით, 15%-იანი სააქციზო განაკვეთით იბეგრება, თუმცა კოდექსის თანახმად 2000 წლის ბოლომდე საქართველოში ავტომობილების იმპორტი იბეგრება განსხვავებული სისტემით, კერძოდ დღგ-ს 5%-იანი განაკვეთით და აქციზის გადასახადი 0.1 ლარის ოდენობით ავტომობილის ძრავის მოცულობის ერთ კუბურ სანტიმეტრზე. საქართველოში 1997 წელს შემოვიდა 10 780 ცალი ავტომანქანა. თუკი ჩავთვლით, რომ საშუალოდ ერთი ავტომობილის ძრავის მოცულობა ტოლია 1 500 კუბური სან-

ტიმეტრია, მაშინ ავტომობილების აქციზით დაბეგვრიდან უნდა ყოფილიყო მიღებული 1 617 000 ლარი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ავტომობილების დაბეგვრა მოხდებოდა 15%-იანი აქციზის განაკვეთით, ბიუჯეტს უნდა მიეღო 8 450 000 ლარი. მართალია შემოსავალი მეორე შემთხვევაში უფრო მეტია, ვიდრე პირველში, მაგრამ დროებითი განაკვეთის დაწესება (0.1 ლარი ერთ კუბურ სანტიმეტრზე) გამართლებულია, ვინაიდან დღევანდელი საქართველოს საავტომობილო პარკი მოძველებულია და საჭიროებს ჩანაცვლებას ახალი ავტომობილებით.

როგორც ცნობილია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ და პარლამენტში წარდგენილ იქნა კანონპროექტი "საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ", რომლის თანახმადაც მნიშვნელოვანი რეორგანიზაციაა მოსალოდნელი აქციზური საქონლის დაბეგვრაში. როგორც ცნობილია, მომქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს აქციზური საქონლის დაბეგვრის ად ვალურ სისტემას, მაშინ როდესაც შემოთავაზებული შკალა ეფუძნება შერეულ მეთოდს ანუ ად ვალურთან ერთად სპეციფიური სისტემის გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ დაბეგვრის ორივე მეთოდი სერიოზულ ნაკლოვანებებს განიცდის, თუმცა საქართველოს შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს შერეულ სისტემას.

სპეციფიური განაკვეთები უპირატესობით სარგებლობენ ად ვალურ განაკვეთებთან, თუკი საგადასახადო ორგანოების ადმინისტრაციული უნარი დაქვეითებულია და პრობლემა დაკავშირებული საშინაო წარმოების ან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულების ხელოვნურ შემცირებასთან პერმანენტულად არსებობს. სპეციფიური განაკვეთების მოქმედებისას ღირებულების დაანგარიშებასთან დაკავშირებული პრობლემები არ წარმოიშვება, რადგან გადასახადი ეფუძნება არა ღირებულებას, არამედ საქონლის ფიზიკურ ერთეულებს. ცხადია, რომ ზემოთ დასახელებული ორი სერიოზული პრობლემა საქართველოში რეალურად არსებობს, ამიტომაც მათი გათვალისწინება აქციზური საქონლის დაბეგვრისას აუცილებელია.

სპეციფიური საააქციზო განაკვეთების გამოყენებისას ყოველწლიურად საქართველოში ადგილი ექნება საგადასახადო ბაზის საშუალოდ 8-10%-იან ინფლაციას.

სპეციფიურ საააქციზო განაკვეთებსაც სუსტი მხარე გააჩნიათ, კერძოდ, ადგილი აქვს გადასახადის ბაზის ინფლაციას და ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც ინფლაციის ტემპები საკმაოდ მაღალია. ჩვენს შემთხვევაშიც მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საგადასახადო ბაზა განიცდის 8-10%-იან ინფლაციას, რაც რეალური შემოსავლების შემცირებას შეუწყობს ხელს. ამიტომაც, აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია აქციზის სპეციფიურ განაკვეთში ინფლაციის ტემპების გათვალისწინება და ეს უნდა მოხდეს რეგულარულად, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ.

შემოთავაზებული ახალი სისტემის მიხედვით, მთელი რიგი აქციზური საქონლებისა გადადის დაბეგვრის სპეციფიურ მეთოდზე. მოსალოდნელია, რომ ახალი სკალის ამოქმედების შემდეგ შემოსავალი გაიზრდება, თუმცა ამის ზუსტი გათვლა შეუძლებელია. ზემოთ გაკეთებული დასკვნისათვის შემდეგი მომენტია აღსანიშნავი, კერძოდ, თუკი სსდ-ს მონაცემებს დავეყრდნობით, 1997 წელს საქართველოში იმპორტირებული აქციზური საქონლის ღირებულება შემცირებულია. ასე მაგალითად, შემოტანილი ეთილის სპირტის საბაჟო ღირებულებამ საშუალოდ 1 დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაწესებული მინიმალური საკონტრაქტო ფასი შეადგენს 1.5 დოლარს. მსგავსი ვითარებაა სხვა აქციზურ საქონელთან მიმართებაშიც. სპეციფიური განაკვეთების დაწესება, უდავოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

ახალი შკალის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოხდა სპირტიანი სასმელების უფრო ფართოდ გამიჯვნა, რაც გააადვილებს საბაჟო ადმინისტრირებას. ასევე უმჯობესი იქნება, თუკი აღარ მოხდება ბენზინის ორ კატეგორიად გამიჯვნა, საავტომობილო და ეთილირებულ ბენზინად, რაც ასევე ხელს შეუწყობს ადმინისტრირების გაიოლებას. თუმცა საავტომობილო ბენზინზე აქციზის განაკვეთის 60%-ზე ან მეტად დაწესება არამართებულად მიგვაჩნია, ვინაიდან იგი გამოიწვევს ბენზინზე ფასების საგრძნობლად მომატებას და იმის მაგივრად, რომ მოხდეს შემოსავლების ზრდა, ადგილი ექნება მათ შემცირებას. ასევე ბენზინის გაძვირება მძლავრ ბიძგს მისცემს ინფლაციას.

მსოფლიოში უკვე საკმაოდ აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს აქციზური მარკების გამოყენება საქონლის რეალიზაციისას. მარკები თავსდება აქციზურ საქონელზე მისი მწარმოებელი ფირმის შიგნით და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა საშუალება მოცემულ ფირმას მიაწოდოს აღნიშნული პროდუქცია მომხმარებელს. აქციზური მარკების გამოყენების ძირითად მოტივს წარმოადგენს დაუბეგრავი საქონლის რეალიზაციის აღკვეთა და საბოლოოდ საგადასახადო შემოსავლების გადიდება. საქართველოში აქციზური მარკების პრაქტიკა ჯერჯერობით არ არის დანერგილი, რაც საგრძნობლად აფერხებს ბიუჯეტში მნიშვნელოვანი შემოსავლების შედინებას. ამჟამად მუშავდება პროექტი აქციზური მარკების თაობაზე საქართველოსათვის. აქციზური მარკების გავრცელების ორი ძირითადი სქემა არსებობს --- აღმოსავლეთ-ევროპული სქემა, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი სიგარეტის დისტრიბიუტერების მიერ თამბაქოს შესყიდვას და თავიანთი ძალებით მარკების დაკვრას. მეორე, აღმოსავლეთ-აზიური სქემა, რომლის დროსაც მწარმოებელი ფირმა (მაგ. როგორიცაა "Philip Morris", "Reinolds" და სხვა) შემოაქვს სიგარეტი უკვე დაკრული საააქციზო მარკებით.

აქციზური მარკების გამოყენების ძირითად მოტივს დაუბეგრავი საქონლის რეალიზაციის აღკვეთა და საბოლოოდ საგადასახადო შემოსავლების გადიდება წარმოადგენს.

აქციზური მარკების გავრცელების ყველა შესაძლო ვარიანტიდან, საქართველოსათვის ყველაზე მეტად საინტერესოა აღმოსავლეთ-აზიური სქემა. დღესდღეობით, საქართველო განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იმყოფება, რის გამოც ჩვენში სუსტადაა განვითარებული საავტორო უფლებების დაცვის პრაქტიკა და ლიცენზიების ბაზარი, ამიტომაც უფრო ეფექტიანი კონტროლის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება, თუკი აქციზური მარკების ბეჭდვის უფლება გადაეცემა დიდი გამოცდილებისა და კარგი რეპუტაციის მქონე უცხოურ ფირმებს. იმის გამო, რომ ყველა შესაძლო სქემიდან აღმოსავლეთ-აზიური ყველაზე რეალურია, გავეცნოთ მისი მოქმედების მექანიზმს უფრო დეტალურად.

პირველ რიგში, საქართველოს მთავრობამ უნდა აწარმოოს მოლაპარაკება რომელიმე ცნობილ საზღვარგარეთულ პოლიგრაფიულ ფირმასთან, რის შედეგადაც ფორმდება კონტრაქტი და აღნიშნული კომპანია თავისთავზე იღებს აქციზური მარკების წარმოებისა და კონტროლის ვალდებულებას. საქართველოში უცხოური სიგარეტების მომწოდებელი ძირითადი ფირმები (“Philip Morris”, “Reinolds”) ღებულობენ ნებართვას საქართველოს ხელისუფლებისაგან განსაზღვრული რაოდენობის სიგარეტის იმპორტის თაობაზე. ამის შემდეგ საქართველოში შესაბამისი ორგანოები წერილობით ატყობინებენ აქციზური მარკების მბეჭდავ კომპანიას აქციზური მარკების საჭირო რაოდენობის თაობაზე. მარკების წინასწარ დადგენილი რაოდენობის დამზადების შემდეგ, მბეჭდავი ფირმა აწვდის მათ სიგარეტების მწარმოებელ კომპანიას იმ ფორმით, როგორც მათ სურთ (რულონებში ან დაჭრილად). ამის შემდეგ მბეჭდავი ფირმა ატყობინებს საქართველოს მთავრობას იმის თაობაზე, თუ რამდენი აქციზური მარკა იქნა მიწოდებული და რა რაოდენობის წარმოება დარჩა კონტრაქტით.

ეკონომიკური მიმოხილვა

დავით ლომიძე

საქართველოში მიმდინარე სტრუქტურულმა და ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა თავისი ლოგიკური გაგრძელება 1997-1998 წლებსაც ჰპოვეს. არსებული ინფორმაციის თანახმად, ეკონომიკური ზრდის ბოლო 2 წლის შედეგების მიხედვით საქართველო მოწინავედ ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და მტკიცედ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მსოფლიოში, როგორც ყველაზე სწრაფად განვითარებადმა ქვეყანამ.

მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი 1996 წელს 11,2% იყო, ხოლო ეს მაჩვენებელი 1997 წელს 11,3%-ია და ნომინალური მშპ-ს ღირებულებამ 6431 მლნ ლარი შეადგინა.

1997 წელს მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობით მშპ 1130,6 მლნ ლარით გაიზარდა და შეადგინა 6431 მლნ ლარი (იხ. ცხრილი N1). ამ პერიოდში მშპ-მ ძირეული სტრუქტურული ცვლილებები განიცადა:

ძლიერი იყო ზრდის ტემპის დაცემის მაჩვენებლები მრეწველობის, მშენებლობისა და არამატერიალური წარმოების სფეროში;

მნიშვნელოვნად გაიზარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ზრდის მაჩვენებელი, რაც ამ სფეროში უცხოური ინვესტიციების ზრდამ გამოიწვია.

ცხრილი N1

	მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი			დარგობრივი სტრუქტურა		
	1995	1996	1997	1995	1996	1997
მრეწველობა	351.6	547	619.2	10.1	10.7	10.1
სოფლის მეურნეობა	1548	1643	1813.9	44.4	32.1	29.6
მშენებლობა	81.8	245	305.7	2.3	4.8	5.0
ტრანსპორტი და კავშირგაბმ.	313.8	334.4	636.9	9.0	6.5	10.4
ვაჭრობა	962.1	1179	1416.4	27.6	23.0	23.1
სხვა დარგები	10.3	84	111.3	0.3	1.7	1.8
მატ. წარმოება სულ	3267.6	4032.4	4903.4	93.7	78.8	80.0
არამატ. წარმოება	219.3	084	1226.2	6.3	21.2	20.0
სულ	3486.9	5116.4	6129.6	100	100	100
წმინდა გადასახ.	206.5	184	301.4			
მშპ	3693.4	5300.4	6431			
ზრდის ტემპი წინა წელთან, %				103.3	111.2	111.3

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება წარმოადგენს ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ხელშემწყობ მექანიზმს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2

(მლნ. ლარებში)

	გეგმა	ფაქტი	გადახრა	პროცენტი (%)
სახ. ბიუჯეტის შემოსავლები	680	593	-87	87.2
სახ. ბიუჯეტის ხარჯები	880	780	-100	88.6
დეფიციტის დაფინანსება	200	187	-13	93.5
ადგილობრივი წყაროები	98	122	24	124.4
სებ-ის კრედიტი	88	116	28	131.8
სახაზინო ვალდებულებები	10	6	-4	60
უცხო წყაროები	102	65	-37	63.7

1997 წელს თვალსაჩინოა პროგრესი სახელმწიფო ფინანსების განმტკიცების საქმეში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კერძოდ, დიდი სირთულეებია გადასახადების ამოღების საქმეში. მართალია ახალმა საგადასახადო კოდექსმა დასაბეგრი ბაზა გააფართოვა, მაგრამ საგადასახადო ორგანოების არა ოპერატიულმა მუშაობამ ბიუჯეტს დააკლო 80 მლნ ლარი.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 87,2%-ით შესრულდა და შეადგინა 593.204 მლნ ლარი.

გეგმასთან შედარებით სულ საგადასახადო შემოსავლები შესრულდა 84.1%-ით. მათ შორის: დღგ შესრულდა 75.7%-ით და სახელმწიფო ბიუჯეტს არ შემოუვიდა 64 მლნ ლარი; საშემოსავლო გადასახადი — 82.7%-ით; მოგების გადასახადი — 56.3%-ით; აქციზი — 94.5%-ით; სხვა გადასახადები — 177.5%-ით.

მიუხედავად წლის დასაწყისში შექმნილი მძიმე ვითარებისა, მნიშვნელოვანი პროგრესია საბაჟო გადასახადის ამოღებაში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 136.9%-ით შესრულდა.

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გრანტებით მიღებული შემოსავალი 39.3%-ით შესრულდა. უმთავრესად ვერ მივიღეთ ევროგაერთიანების გრანტი, რომელიც გეგმასთან შედარებით შესრულდა 21.8%-ით და ბიუჯეტს დააკლდა 37 მლნ ლარი.

ამ პერიოდში შემოსავლების არასაკმარისად მობილიზაციამ გამოიწვია ხარჯების სეკვესტრირება და ხარჯვითი ნაწილი 88.6%-ით შესრულდა, მაგრამ უმთავრესად შენარჩუნებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები. ამის შედეგად ბი-

უჯეტის დეფიციტი შემცირდა 187 მლნ ლარამდე, ხოლო მისი დაფინანსების სტრუქტურამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც გამოიწვია საგარეო წყაროების არასრულყოფილმა 63.7%-ით შესრულებამ (მსოფლიო ბანკის ინვესტიციური პროექტით გათვალისწინებული 19 მლნ ლარის მაგივრად მივიღეთ 12 მლნ ლარი, აშშ-ს სასაქონლო კრედიტის 6.5 მლნ ლარის მაგივრად - 1.5 მლნ ლარი, ხოლო ევროგაერთიანების კრედიტი არ მიგვიღია).

1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 187 მლნ ლარია.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემიტირება და მისი მეშვეობით ფინანსური რესურსების მობილიზაცია ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად უდავოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან იგი ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების არაინფლაციურ წყაროს წარმოადგენს. ამ მიზნით 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მობილიზებული იქნა მხოლოდ 5,8 მლნ ლარი, მაგრამ მომავალში საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით აღებული სახაზინო ვალდებულებები დიდ როლს ითამაშებს არსებული დეფიციტის დაფარვაში.

1997 წელს ჩატარებული სახაზინო ვალდებულებების აუქციონებიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი სახის დასკვნა:

1. სახელმწიფო მხრიდან დისკონტზე ზედა ზღვრის დონე არ არსებობს და აქედან გამომდინარე დისკონტის მერყეობა საერთაშორისო სტანდარტებით საოცრად დიდია.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ფასიანი ქაღალდების ბაზარს არაპირდაპირი მეთოდებით:

- სავალუტო კურსი;
- საკრედიტო აუქციონები;
- სავალდებულო რეზერვის წილი.

3. არც ერთ ბანკს არ გააჩნია საკმარისი საკუთარი სახსრები, რათა მთლიანად "აიღოს" ემისია და ამიტომ აუქციონიდან აუქციონამდე ძირითადში სამი მსხვილი ბანკი: TBC-ბანკი, "როსისკი კრედიტი-ქართუ" და "აბსოლუტი" (ცვალებადი შემადგენლობით) "ადგენს" დისკონტს.

რაც შეეხება 1998 წლის მონაცემებს (იხ. ცხრილი N3) სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთი თანდათან შემცირდა და მიუახლოვდა საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ მაჩვენებელს.

ცხრილი N3

თარიღი	14.01	04.02	11.02	18.02	04.03	11.03	18.03
ემისიის ვადა	28	91	28	91	91	28	91
გამოცხადებული ემისია (მლნ ლარი)	1,8	1,2	2	1,35	1,35	2,2	1,3
განთავსებული ა.ვ-ი	1,8	1,2	2	1,35	1,35	2,2	1,3
ა.ვ-ს საპროცენტო განაკვეთი	35,41	40,47	35,81	43,42	42,2	34,58	41,29

ეკონომიკური რეფორმების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავ ახორციელებს "მცოცავი მართვადი" სავალუტო კურსის პოლიტიკას. იგი მონაწილეობს სავალუტო გაცვლის ბაზარში და თავის საკუთარ რეზერვებს იყენებს იმისათვის, რომ ნეგატიური მოკლევადიანი ცვლილებების განეიტრალებით შესაძლებელი გახადოს ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილურობა. ამ მიზნით ეროვნულმა ბანკმა 1997 წელს - 39,544 მლნ აშშ დოლარისა და 1998 წელს (პირველი 2 თვის მონაცემებით) — 22,324 მლნ აშშ დოლარის ინტერვენცია მოახდინა თბსბ-ზე (იხ. გრაფიკი N1), რათა დოლარებზე ჭარბი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1997 წელს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული 40 მლნ აშშ დოლარის ინტერვენციამ ჩვენს ქვეყანაში დააკმაყოფილა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა და ინფლაციის ტემპი წლიურ 7,3%-მდე შეამცირა. მაშინ დასაფიქრებელია (საბაჟო დეპარტამენტისა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით) საქართველოს საგადამხდელო დეფიციტის 665 მლნ ლარამდე ოდენობის რეალურობა, რადგან ამხელა დეფიციტის არ დაფინანსებას უნდა გაეზარდა აშშ დოლარზე მოთხოვნა და ლარის კურსის ძლიერი დაცემა.

მისი რეალურობის მთავარი მიზეზი აღურიცხავი ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ნაკადია, გარდა ამისა არარეგისტრირებული უცხოური ვალუტის სხვა წყაროებიც შეიძლება არსებობდეს: შემოსავლები უცხოეთიდან, უცხოური ვალუტის დანაზოგები, დაურეგისტრებელი უცხოური ინვესტიციები და ქართველების მიერ უცხოეთში მუშაობის დროს მიღებული ანაზღაურების ტრანსფერი.

დღეს ჩვენს ქვეყანაში დიდი რაოდენობით აღურიცხავი საქონელი ტრიალებს. კორუფციისა და აღრიცხვის სუსტი სისტემის გამო გაბატონებულია ფარული ექსპორტი და რეექსპორტი.

1998 წლის (იანვარსა და თებერვალში) ეროვნული ბანკის წმინდა უცხოური აქტივები 33 მლნ ლარით შემცირდა და შეადგინა -139651 ათასი ლარი. ეს ძირითადად უცხოური ვალუტის ბაზარზე 22 მლნ აშშ დოლარის გაყიდვის შედეგად მოხდა. ხოლო წმინდა საშინაო აქტივები გაიზარდა 11 მლნ ლარით მთავრობის წმინდა დავალიანების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 394458 ათასი ლარი. ამან გამოიწვია სარეზერვო ფულის 22 მლნ ლარით შემცირება და მიაღწია 254807 ათას ლარს (იხ. გრაფიკი N2).

ამ პერიოდში ფულის მასაც შემცირდა: ფართო ფული (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს დამატებული დეპოზიტები როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში) შემცირდა 12 მლნ ლარით და შეადგინა 360,7 მლნ ლარი; ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე - 23 მლნ ლარით და 272,1 მლნ ლარამდე შემცირდა; სარეზერვო ფულის მასა (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს დამატებული ბანკებში არსებული სხვადასხვა რეზერვები) - 22 მლნ ლარით; ლარები მიმოქცევაში — 27 მლნ ლარით და მიაღწია 227,3 მლნ ლარს (იხ. გრაფიკი N3). ეს გამოიწვია იმ სავალუტო პოლიტიკამ, რომელიც განახორციელა ეროვნულმა ბანკმა თბსბ-ზე უცხოურ ვალუტაზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინტერვენციებს თბსბ-ზე ლარზე მოთხოვნისა და მიწოდების გასაწონასწორებლად, რათა არ მოხდეს ლარის კურსის ცვლილება. ეს მიდგომა ამყარებს მთავრობის ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპის საფუძვლებს. საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა ორ სავალუტო ბაზარს შორის სპეკულაციის შესაძლებლობების შემცირებაზე არის მიმართული და საბაზრო კურსის ყოველ ცვლილებას ამ მიზნის შესაბამისად პასუხობს. თბსბ-ზე ინტერვენციები ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ სავალუტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად რჩება. მაგრამ გაცვლის კურსის გამაგრება ძირითადად არა თბსბ-ზე ინტერვენციებით ხდება, არამედ უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი შენაკადებით.

აშშ დოლარის ეროვნულ ვალუტაზე გაცვლის საშუალო წლიური კურსი თბსბ-ზე განხორციელებული ოპერაციების შედეგად 1997 წლის 1,30 დაფიქსირდა, ხოლო 1998 წლის იანვრისა და თებერვლის მოვნაცემებით ლარის კურსი დაეცა და შეადგინა 1,33 (იხ. გრაფიკი N4).

ინფლაციის დარეგულირების სფეროში მიღწეული წარმატებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელი წლების ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვით საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და მესამე ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში.

1997 წელს ინფლაციის წლიური ტემპი 7.3%-ი იყო

პირველი ორი თვის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 1,4%-ით დაეცა (იხ. გრაფიკი N5). ამ პერიოდში მკაცრი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებამ და ლარის აშშ დოლარზე გადაცვლის კურსის სტაბილურობამ, როგორც ჩანს გაზარდა მოსახლეობის ნდობა ეროვნული ვალუტის მიმართ. შიდა ბაზარზე მოსალოდნელია მიწოდებისა და კონკურენციის ზრდა.

ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყონ ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის შენარჩუნებას. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი მეორადი საფინანსო ბაზრის ჩამოსაყალიბებლად, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

გრაფიკი N1

ბირჟაზე ნაყიდი და გაყიდული აშშ დოლარები



გრაფიკი N2

სებ-ის 1997-1998 წწ. ანგარიში



გრაფიკი N3

ფულის მასის დინამიკა



გრაფიკი N4

აშშ დოლარის ლართან თვის საშუალო გაცვლის კურსი 1997-1998 წწ.



გრაფიკი N5

სამომხმარებლო ფასების ინდექსი
1994-1998



წლები